



MES 1 20 0000694807



17/08/2020

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 03.08.2020

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 20:31 სთ

სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (1-ლი, მე-3-მე-6 საკითხები)

სხდომის თავმჯდომარე: თამარ ტუფინაშვილი (მე-2 და მე-7 საკითხები)

საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის“ აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - სხდომის თავმჯდომარე;
2. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
3. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სხდომის თავმჯდომარე;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;

7. **პაატა ბრეკაშვილი**- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
8. **ეკა ევალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
11. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი
4	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ზურაბ ხონელიძე	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი	I
3	ნინო თოფურიძე	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I
4	ლალი ტაბატაძე	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I
5	ზურაბ ფაჩულია	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	II
6	ნესტან კვეკელია	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებიმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და	II

			ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	
7	ნარინა ზარქუა	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებიმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
8	რომეო გალდავა	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
9	დავით ჩერქეზიშვილი	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	რექტორი	II
10	დავით ბოსტოლანაშვილი	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
11	ავთანდილ გაგნიძე	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
12	ვასილ კუპატაძე	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
13	გიორგი ღაღანიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	III
14	ირაკლი კოვზანაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	III
15	თემური შენგელია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	III
16	იოსებ ხელაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	III
17	ლევან საბაური	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	III
18	ნუგზარ თოდუა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	III

		სახელმწიფო უნივერსიტეტი		
19	დავით ნარმანია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	III
20	დემურ სიჭინავა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	III
21	ეთერ ხარაიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	III
22	ირმა გრძელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	III
23	ნინო ქიმერიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	III
24	საფფეთ ბაირაქეთუთან	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	IV
25	გოდერძი ბუჩაშვილი	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	პრორექტორი, „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
26	ნინო ჯოჯუა	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
27	გიორგი წანაწყენიშვილი	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი, არქიტექტურის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
28	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი	VI

29	ნანა შონია	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ბიზნესის ადმინისტრირება" ხელმძღვანელი; ბიზნესის , სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	VI
30	ნინო წიქვაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის სპეციალისტი	VI
31	მამუკა ჯორბენაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	VI
32	თეიმურაზ კეჟერაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	V
33	თამაზ ბოლქვაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი	V
34	ირმა ინაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VII
35	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	რექტორის მრჩეველი	VII
36	გიორგი ქვარცხავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი	VII
37	ნინო ლომიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VII
38	აკაკი გუნცაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი	VII
39	მანანა ცინცაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მეცხოველეობა“ ხელმძღვანელი	VII
40	ნათია ნატროშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მოწვეული ასოცირებული პროფესორი	VII

აკრედიტაციის ექსპერტები

--	--	--	--

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ელინა ბაქრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ეკატერინე ჩხაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ვლადიმერ ციციშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ელენე ჭირაქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	გოჩა თუთბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	სოფიო ხუნდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	დავით ქარცივაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ლაშა გორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	თინათინ ხიმშიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ნანა იაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	მაია ჩეჩელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	თეა კასრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
13	ანა სამსონაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
14	ბესარიონ ლასარეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - „ქიმიური ექსპერტიზის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა;

4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "სამსახიობო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა;

7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ზემოაღნიშნული დღის წესრიგი.

1. პირველი საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმიური ექსპერტიზა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 30 აპრილის N107 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქიმიური ექსპერტიზა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 კრედიტი
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0186, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N 26, სასწავლო კორპუსი N 2
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განამარტა, რომ განიხილავენ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს, მოცემულმა პროგრამამ 2019 წელს მიიღო პირობითი აკრედიტაცია.

მისი თქმით უნივერსიტეტში ვიზიტმა სამუშაო გარემოში ჩაიარა, მას ესწერებოდა 4 ექსპერტი და შედგა შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან, მოქმედ მაგისტრანტებთან და მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებთან, ასევე დათვალიერდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაგ., ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა პროგრამაში ჩართული 4 ინსტიტუციის ლაბორატორიებთან, სადაც გეგმება წარმოდგენილი პროგრამის სწავლება და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება. უნივერსიტეტისგან იყო ხელშეწყობა და მზაობა, რომ ვიზიტი სრულყოფილად განხორციელდებოდა.

ვიზიტი განხორციელდა 12 ივნისს. სტანდარტებთან მიმართებით პროგრამის მიმოხილვას რაც შეეხება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმიური ექსპერტიზა“ შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, 2.6, 3.1, 3.2, 4.1, 4.2, 4.3, 5.2, 5.3, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4.4, 5.1 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციდან და მიზნებიდან გამომდინარე რეკომენდაციები ეხება სასწავლო პროგრამაში რამოდენიმე საგნის დამატებას ან/და მოდიფიცირებას, კერძოდ:

1. ბიუჯეტში მოცემული რეაქტივების, ქიმიკატების, ჭურჭლის, მედიკამენტებისა და სამეცნიერო მიზნით სხვა საქონლის შემენის მიზნით გამოყოფილი თანხა გაიზარდოს ან როგორც განხილვის დროს იყო ნათქვამი ჩაიწეროს, რომ საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი აფინანსებს სხვა რესურსებით უზრუნველყოფას;
2. უკუკავშირისთვის აუცილებელია სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარები და გამოკითხვის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ყველაფერი გააკეთა რეკომენდაციების შესასრულებლად, რადგან პროგრამას ჰქონდა 1 წლიანი აკრედიტაცია, ასევე დაეთანხმა ამჟამინდელ რეკომენდაციებს და მზაობა განაცხადა ბიუჯეტის კორექტირებაზე.

პროგრამის ხელმძღვანელის თქმით სამაგისტრო პროგრამას 1 წლით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია, თვითშეფასების ჯგუფმა იმუშავა მოცემულ რეკომენდაციებსა რის შემდეგაც მთელი რიგი ცვლილებები განხორციელდა პროგრამაში, შეიცვალა არა მარტო პროგრამის სტრუქტურა, არამედ ცალკეული დისციპლინაც, მისი თქმით, ვიზიტისას ექსპერტებს ჰქონდათ ორი ძირითადი რეკომენდაცია, ერთი ეხებოდა ცვლილებას ბიუჯეტში, რომ კვლევითი თვალსაზრისით საქონლის შესაძენად გაზრდილიყო თანხა ან საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სხვა რესურსებით დაფინანსება, თვითშეფასების დოკუმენტში ეს ყველაფერი ნათლად არის გაწერილი. გამომსვლელმა შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ დანართი N1-ში არის კვლევისათვის აუცილებელი რეაქტივების ნუსხა, ღირებულება,

ასევე იმ რეაქტივების ნუსხა, რომელსაც მემორანდუმის საფუძველზე უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის კვლევის ლაბორატორია, შპს ღვინის ლაბორატორია, პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული მაღალმოლეკულური ქიმიის ლაბორატორია, დანართი N2-ში კი არის იმ აუცილებელი რეაქტივების ნუსხა, რომელთაც ფაკულტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს კვლევისათვის, რეაქტივების მუდმივად განახლებად რეჟიმში. ამ ეტაპზე ბიუჯეტი მცირედ არის წარმოდგენილი, თუმცა ახალი სასწავლო წლისათვის გაიზრდება, რადგან სრული აკრედიტაციის შემთხვევაში უფრო მეტი სტუდენტი გააგრძელებს სწავლას მაგისტრატურაში, მათ პროგრამის სტრუქტურაში აქვთ ჩანაწერი, რომ აღნიშნული რესურსი საკმარისია 10-15 მაგისტრანტის მოსამზადებლად, ბიუჯეტის შედგენის ახალი წესის დანართში კი აღნიშნული თანხა გაიზრდება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა, ქალბატონმა მანანა კველიშვილმა, ისაუბრა პროგრამის მნიშვნელოვნებაზე, ამ კუთხით ქვეყანა საჭიროებს ექსპერტებს. გარდა ამისა, მას აინტერესებს როგორ შეუძლია უნივერსიტეტს მიიღოს 10-15 სტუდენტი, როდესაც მათ ლაბორატორიაში არ აქვთ არცერთი ქრომატოგრაფი (არც გაზური, არც სითხური, არც იონური), ანუ ეს არის აპარატურა, რომელიც განთავსებულია თსუ-სა და სხვა კვლევით ლაბორატორიებში, რამდენად არის შესაძლებელი ამ აპარატურის გამოყენება 15 სტუდენტისთვის სხვა, მათ პარტნიორ კვლევით ცენტრებში.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტმა ახალი სასწავლო წლისთვის ლაბორატორია აღჭურვა საჭირო ზოგიერთი ხელსაწყო-დანადგარით (მაგ., ულტრაიისფერი სპექტოფოტომეტრი, როტაციული ამორთქლებელი, პოლარომეტრი და სხვა), ასევე ამბობს, რომ არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი დანადგარი არ აქვს უნივერსიტეტის ლაბორატორიას, თუმცა მომავალი სასწავლო წლისათვის, როდესაც პროგრამას სრულყოფილი აკრედიტაცია ექნება, დაგეგმილია გაზური ქრომატოგრაფისა და სხვადასხვა მოწყობილობების ნაწილ-ნაწილ შეძენა, თუმცა ეს ყველაფერი არის მათ პარტნიორ ლაბორატორიებში/კვლევით დაწესებულებებში, წელს მოცემულმა პროგრამამ მიიღო 4 მაგისტრანტი, თუმცა შეუძლიათ 7-8 მაგისტრანტის მიღება, პირდაპირ 10-15 მაგისტრანტის მიღება კი დასაფიქრებელია, თუმცა თუ მიიღებენ მემორანდუმის ფარგლებში გამონახვენი ამის შესაძლებლობასაც.

ქალბატონი მანანას აზრით, ნაკლებად სავარაუდოა სოფლის მეურნეობის ლაბორატორიამ 3 სტუდენტზე კი ერთად შეუშვას მათ ქრომატოგრაფებთან სამუშაოდ. ასევე, დასვა მეორე კითხვა, რადგან პროგრამის ძირითადი აქცენტი არის კვების პროდუქტების ექსპერტიზაზე და არ არის ნახსენები ქიმიური მრეწველობა, უნივერსიტეტს კი აქვს საგანი „კვების წარმოებაში გამოყენებული პოლიმერების და პოლიმერული მასალების ექსპერტიზა“, რომელიც არის არჩევითი საგანი, მაშინ როდესაც უნივერსიტეტს მიზანშიც კი უწერია, რომ პროგრამის ძირითადი აქცენტი გადატანილია იმ პოლიმერებზე, რომლებშიც იფუთება საკვები პროდუქტები, ხომ არ ჯობია ეს სასწავლო კურსი გადატანილ იქნეს ძირითად სასწავლო ბლოკში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის სტრუქტურაში ეს დისციპლინა სხვა დისციპლინებთან ერთად, მაგ., „კვების პროდუქტების ანალიზი და ექსპერტიზა“, „სასმელი და მინერალური წყლების ანალიზი და ექსპერტიზა“ არჩევითი საგნებია, თუმცა ძირითად, სავალდებულო საგნებში აქვთ ისეთი საგნები, როგორებიცაა „პოლიმერების ფიზიკური ქიმია“, „ინსტრუმენტული ოპტიკურ-სპექტროკოპული მეთოდები“ და სხვა

ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები, რადგან სტუდენტი მომავალში მზად იყოს კვების ტექნოლოგიების მიმართულებით დისციპლინები შესწავლილი კვლევის მეთოდების დახმარებით აირჩიოს.

ქალბატონი მანანას თქმით, სტუდენტს, რომელიც ისწავლის პოლიმერების სტრუქტურასა და მის გარდაქმნას ჯობდა პროდუქტების გარდაქმნაც ესწავლა, რადგან შეიძლება სტუდენტმა სხვა სასწავლო კურსი აირჩიოს და ვერ დაასრულებს იმ აზრს, რაც ისწავლა პოლიმერების თვისებების განხილვისას, ამიტომ კარგი იქნებოდა ეს სასწავლო კურსი ყოფილიყო სავალდებულო საგნების ბლოკში.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა განმარტა, რომ პროგრამის ერთერთი მიზანია -სტუდენტებს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ქი-მი-უ-რი ექსპერტიზის ისეთ აქტუალურ საკითხებში, როგორცაა სასმელი და მინერალური წყლების, ალკოჰოლური სასმელების და სხვადასხვა დასახელების კვების პროდუქტების ანალიზი და ექსპერტიზა. რამდენად არის შესაძლებელი პროგრამით დასახული მიზნების მიღწევა გამომდინარე იქიდან, რომ „სასმელი და მინერალური წყლების ანალიზი და ექსპერტიზა“ არის არჩევითი საგანი. ასევე, სამაგისტრო პროგრამაში დასაკორექტირებელია სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის შეფასების „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც არაადაკმაყოფილებელი (insufficient) – („ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი. აღნიშნული ჩანაწერი სამართლიანია სადისერტაციო ნაშრომის შემთხვევაში, მაგისტრანტს კი უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში. საბჭოს წევრმა ექსპერტებს სთხოვა განმარტება, რას გულისხმობდნენ ჩანაწერში (2.2 ქვესტანდარტი) - კვლევითი კომპონენტი გადანაწილებულია III და IV სემესტრზე.

დაწესებულების წრმომადგენელმა განმარტა, რომ სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასების „ვ“ ქვეპუნქტს აუცილებლად ჩაასწორებენ, რაც შეეხება სასწავლო კურსს „სასმელი და მინერალური წყლების ანალიზი და ექსპერტიზა“ - არჩევით კურსებშია განსაზღვრული, რადგან უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით ძირითად კურსებად მიჩნეულ იქნა კვების პროდუქტები და ალკოჰოლური სასმელები, სავალდებულო კურსი კი ითვალისწინებს 60 კრედიტს, ხოლო რა საგნებიც ამ ეტაპზე არის გათვალისწინებული ავსებს ამ რაოდენობას და აღარ არის საგნების დამატების შესაძლებლობა, თუმცა ეს რეკომენდაცია შესაძლებელია მომავალში იქნას გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსებით, სამაგისტრო ნაშრომითა და პრაქტიკით უნდა გადაიფაროს პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები, და არა არჩევითი საგნებით. არჩევითი სასწავლო კურსებით ხდება კონკრეტული მიმართულებით ცოდნის გაღრმავება.

ექსპერტი პასუხობს ქალბატონ თამარს, რომ სასწავლო კომპონენტი განაწილებულია სწავლების I, II, III და IV სემესტრებზე, აქედან 60 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს, 6 პროფესიულ პრაქტიკასა და 30 კრედიტი აქვთ სამეცნიეროზე, სადაც იგულისხმება სამაგისტრო ნაშრომების შესრულება, ანუ კვლევითი კომპონენტი გადანაწილებულია III და IV სემესტრზე. პროგრამაში (24 კრედიტით) გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსები, რაც მაგისტრანტს საშუალებას აძლევს გაიღრმავოს მიღებული ცოდნა.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა დასვა კითხვა აქვთ თუ არა უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამა ამ მიმართულებით და თუ აქვთ საინტერესოა ის 4 მაგისტრანტი, რომლებიც ჰყავდათ მიღებული რა სპეციალობის სტუდენტები არიან, რადგან მათ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებული აქვთ სასპეციალიზაციო გამოცდაც და რა მოლოდინები აქვთ

სტუდენტებს პროგრამისგან. ასევე სურს, რომ ერთობლივად განმარტონ სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სადაც ძირითადი სასწავლო კურსები ემსახურება პროგრამის სწავლის შედეგების გაღრმავება /განმტკიცებას და არცერთი მათგანი შედეგის გაცნობას. მხოლოდ 2 სასწავლო კურსი, ისიც არჩევითი („ექსპერტიზის სამართლის საფუძვლები“ და „ბუნებრივ ნაერთთა კვლევა ქვანტურ-ქიმიური მოდელირებით“), ემსახურება გაცნობას. მას აინტერესებს რა ლოგიკით არის აწყობილი ეს პროგრამა ამ მხრივ. ასევე, საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა დაზუსტა საბჭოს წევრის ნიკა თიკანაშვილის კითხვა, რომ კურიკულუმის რუკა აჩვენებს რამდენად არის პროგრამის განმახორციელებლების მიერ გააზრებული და შეფასებული თითოეული სასწავლო კურსის დატვირთვა ამა თუ იმ სწავლის შედეგთან მიმართებაში. ეს არის სამოქმედო დოკუმენტი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის. მისი აზრით ვისაც პროგრამაზე და ხარისხში უმუშავია, ყველასთვის ცნობილია, რომ პროგრამა უნდა ვითარდებოდეს მარტივიდან რთულისაკენ, ანუ პროგრამას უნდა ჰქონდეს ლოგიკური სტრუქტურა, რაც გულისხმობს, რომ საწყის ეტაპზე შეთავაზებული საგნები სტუდენტებს აცნობენ, მომდევნო ეტაპის სასწავლო კურსები აღრმავებენ შედეგებს, დასკვნითი ეტაპის კურსები კი ამტკიცებენ მათ. ზოგადად სამაგისტრო ნაშრომი თითქმის ყველა შედეგს ამტკიცებს. თუ გადავხედავთ მოცემული პროგრამის კურიკულუმის რუკას, ვნახავთ, რომ საგნები პირდაპირ სწავლის შედეგების გაღრმავებას იწყებენ, ზოგიერთი კი პირდაპირ განმტკიცებას და არ ჩანს რომელი კურსი აცნობს ამ შედეგს, ან მეორე შემთხვევაში აღრმავებს. ამასთანავე, დადებითი მხარეა, როცა უნივერსიტეტს აქვს პროგრამაზე მიღების ადეკვატური წინაპირობა, რაც შესაბამისი ცოდნისა და უნარების სტუდენტების მიღების გარანტიას იძლევა, ეს კი უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მიღწევადობასთან არის დაკავშირებული. საბჭოს წევრების რჩევა იქნება, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გადახედონ კურიკულუმის რუკას, რადგან მომავალში ეს მათ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოადგებათ. კერძოდ, დაეხმარებათ, რომ შედეგ(ებ)ი სწორედ იმ სასწავლო კურსში/კომპონენტში შეაფასონ, სადაც ხდება ამ კონკრეტული შედეგის განმტკიცება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ქიმიის საბაკალავრო პროგრამა და სტუდენტები, რომლებმაც წელს დახურეს ეს სამაგისტრო პროგრამა იყვნენ მათი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები, ისევე, როგორც წლევეანდელი 4 მაგისტრანტი, სრული აკრედიტაციის შემთხვევაში კი ელოდებიან სტუდენტებს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდანაც, იმ დაშვების წინაპირობის (ქიმიაში კომპეტენციის დასადასტურებელი გამოცდის) გათვალისწინებით, რაც სტრუქტურაშია მოცემული. რაც შეეხება პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობას, საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტები გადიან ქიმიის სრულ კურსს, სამაგისტრო საფეხური კი ორიენტირებულია ცოდნის გაღრმავებაზე. უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის ყველა რჩევა მისაღებია და ვინაიდან ახალი წესით შეადგინეს კურიკულუმის რუკები, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა ვითარდება და შესაძლებელია კორექტირების შეტანა, პროგრამა გვაჩვენებს რას და როგორ საჭიროებს. აღნიშნავენ იმ ფაქტსაც, რომ იმუშავა თვითშეფასების ჯგუფმა, რომელის საქმიანობაც იდეალური არ იყო, თუმცა პროგრამის განვითარება და შეფასება მიიყვანს მათ იმ შედეგებამდე, რასაც პროგრამა მიაღწევს.

საბჭოს წევრი ყურადღება გაამახვილა წინა აკრედიტაციის რეკომენდაციაზე, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტს უნდა ჩაეტარებინა შრომითი ბაზრის კვლევა, ასევე აღნიშნავს, რომ წინა წელს მოცემულმა პროგრამამ მიიღო 4 სტუდენტი, საბჭოს მიმდინარეობის პროცესში კი უნივერსიტეტის წარმომადგენლები გამოთქვამდნენ იმედს, რომ მიიღებენ მეტ სტუდენტს, მას აინტერესებს რა აძლევთ მათ ამის მტკიცების საშუალებას და თუ განახორციელეს ეს კვლევა, რა შედეგები მიიღეს. მიმართავს ექსპერტებსაც, რომ საბჭოზე იყო მსჯელობა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, რესურსებზე, მათი აზრით, რამდენი სტუდენტისათვის არის

საკმარისი არსებული უკვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ლაბორატორიები, ნიმუშებს, მასალებს და ა.შ.)

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტას, რომ შრომის ბაზრის კვლევა ჩატარდა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მეთოდით შესაბამისი პროფილის 7 ლაბორატორიასთან, კვლევიდან ჩანს, პოტენციური დამსაქმებლების და სტუდენტების დაინტერესება აღნიშნული სამაგისტრო პროგრამით, აქედან გამომდინარე უნივერსიტეტს აქვს საშუალება განაცხადოს, რომ ეყოლებათ უფრო და უფრო მეტი სტუდენტი, გარდა ამისა უნივერსიტეტს ჰყავს ქიმიის საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულები, რომელთაც სურთ სწავლა გააგრძელონ მაგისტრატურაში. უნივერსიტეტის რექტორის თქმით ქიმიის საბაკალავრო პროგრამას ყოველწლიურად საშუალოდ 25-30 სტუდენტი ამთავრებს. აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ პროგრამა სახელმწიფოს მიერაა დაფინანსებული და უკანასკნელი 4-5 წელია კონტიგენტი სრულად ივსება.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე შეძენილ იქნა ახალი სასწორები, ზუსტი მზომი ჭურჭლი, უნივერსიტეტში არის გამართული ვენტილაცია და სრულდება ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნორმები, რაც შეეხება სიღრმისეულ კვლევებს, რასაც პროგრამა საჭიროებს თუნდაც კვების პროდუქტები და ა.შ. უნდა განხორციელდეს მემორანდუმების საფუძველზე, სადაც არსებობს ეს ხელსაწყოები, მათი წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ ვიზიტს და გამოთქვეს სრული მზაობა, რომ სტუდენტს მისცენ საშუალება პირადად განახორციელონ კვლევები მაღალტექნოლოგიურ ხელსაწყო-დანადგარებთან, როგორებიცაა ქრომატოგრაფები (სითბური, იონური, გაზური და ა.შ.) ეს დანადგარები არსებობს მემორანდუმის ფარგლებში არსებულ ლაბორატორიებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:40

დასრულების დრო: 14:56

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

- **საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევა:

ა) ბიუჯეტში მოცემული რეაქტივების, ქიმიკატების, ჭურჭლის, მედიკამენტების და სამეცნიერო მიზნით სხვა საქონლის შეძენისთვის გამოყოფილი თანხა გაიზარდოს ან მიეთითოს, რომ საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვა რესურსით დაფინანსებას;

ბ) რეკომენდირებულია პრაქტიკის მემორანდუმები მოიცავდეს ინფორმაციას პრაქტიკის ხანგრძლივობისა და ასევე, პრაქტიკის ობიექტზე აკადემიური წლის განმავლობაში გასაგზავნი სტუდენტების შესაძლო მაქსიმალური რაოდენობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა კომპონენტის უკეთ დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესს;

გ) პროგრამის უკეთ განხორციელებისა და სწავლის შედეგების უკეთესად მიღწევადობის მიზნით გადაიხედოს სავალდებულო სასწავლო კურსები.

რჩევა:

აუცილებელია წარმოდგენილი იყოს სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარები და გამოკითხვის შედეგები.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

2. მეორე საკითხი: შპს ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2014 წლის 4 დეკემბრის N248 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 კრედიტი
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0178, შატილის ქ. N4
12		

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - დიმიტრი გეგენავამ, პაატა ბრეკაშვილმა და ირმა წერეთელმა.

თვითაცილების საფუძველი: დიმიტრი გეგენავას და ირმა წერეთლის შემთხვევაში ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან. პაატა ბრეკაშვილის შემთხვევაში პროგრამაში ჩართულ პირთან არსებული ურთიერთობა.

სხდომის თავმჯდომარედ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე განისაზღვრა თამარ ტუფინაშვილი.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ პოზიცია

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ შეამოწმეს საბაკალავრო პროგრამის „ბიზნეს ადმინისტრირების“ შესაბამისობა სტანდარტთან. მისი თქმით დაწესებულებამ რეაკრედიტაციის რეჟიმში მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია, შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები პროგრამაში, აქვე აღნიშნავს, რომ პროგრამას ჰყავს გამოცდილი/კვალიფიციური ხელმძღვანელები, ასევე სერიოზული ცვლილებები განხორციელდა, როგორც აკადემიურ ისე მოწვეულ პერსონალში, შეიცვალა როგორც ძირითადი სასწავლო კურსები, ასევე თავისუფალი კომპონენტიც და მნიშვნელოვნად გაძლიერდა ისინი, უფრო მიმზიდველი გახდა თავისუფალი და არჩევითი კომპონენტი.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციდან და მიზნებიდან გამომდინარე რეკომენდაციები ეხება სასწავლო პროგრამაში რამოდენიმე საგნის დამატებას/მოდიფიცირებას ან სასწავლო ბლოკის ცვლილებას, კერძოდ:

1. 2.4 სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფისათვის ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია ან ამ სწავლის შედეგების კორექტირება ან „კორპორაციის ფინანსების საფუძვლების“ სასწავლო კურსის არჩევითი მოდულიდან სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გადმოტანა;
2. 2.3 სწავლის შედეგის მიღწევის გაუმჯობესებისათვის ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია „მარკეტინგული კვლევის“ სასწავლო კურსის მარკეტინგის არჩევითი მოდულიდან სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გადმოტანა.
3. სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის უზრუნველსაყოფად, სასწავლო კურსების შინაარსის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „საგადასახადო საქმე“ წინაპირობად განისაზღვროს „ფინანსური აღრიცხვა II“;

4. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით დასაზუსტებელია ტექნიკური ტიპის საკითხი, კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურსის „ექსპორტის მენეჯმენტი“ წინაპირობად განსაზღვრულია არჩევითი სასწავლო კურსი „საერთაშორისო მარკეტინგი“, რაც აღნიშნული სასწავლო კურსის არჩევას სავალდებულოს გახდის;
5. რეკომენდირებულია მეტად ლოგიკურად მოხდეს სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების განაწილება, სასწავლო კურსების ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების სირთულის გათვალისწინებით;
6. რეკომენდირებულია პრაქტიკის მემორანდუმები მოიცავდეს ინფორმაციას პრაქტიკის ხანგრძლივობისა და ასევე, პრაქტიკის ობიექტზე აკადემიური წლის განმავლობაში გასაგზავნი სტუდენტების შესაძლო მაქსიმალური რაოდენობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს კომპონენტის უკეთ დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესს;
7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები“ გადავიდეს ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში. აღნიშნული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები მნიშვნელოვანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა რჩევებიც:

- ვინაიდან, პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროდ განსაზღვრულია საშუალო და დაბალი მენეჯმენტის პოზიცია, სასურველია მარკეტინგის არჩევით მოდულს დაემატოს „გაყიდვების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი, რაც ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კურსდამთავრებულთა დასაქმების რიცხვის ზრდას;
- ზოგიერთი პერსონალის ავტობიოგრაფიის განახლება, რათა ის სრულად ასახავდეს მათ სამეცნიერო თუ აკადემიურ საქმიანობას.

ვიზიტი განხორციელდა 14 ივნისს. სტანდარტებთან მიმართებით პროგრამის მიმოხილვას რაც შეეხება, საბაკალავრო პროგრამის „ბიზნეს ადმინისტრირების“ შესაბამისობა სტანდარტთან, დადგინდა, რომ I, III, IV და V სტანდარტი შესაბამისობაშია, II სტანდარტი მეწილად შესაბამისია, რადგან 2.1, 2.5 და 2.6 ქვესტანდარტები შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, ხოლო 2.2, 2.3 და 2.4 იყო მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა დაწესებულების პოზიცია, ისინი ეთანხმებიან ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების მნიშვნელოვან ნაწილს, რადგან ისინი ატარებდნენ ტექნიკურ ხასიათს. იგი საუბრობს 2.4 და 2.3 ქვესტანდარტში მითითებულ რეკომენდაციებზე და სწავლის სფეროების კლასიფიკატორზე, რომელიც მიუთითებს, რომ სწავლის შედეგების კონცენტრაციები უნდა იყოს ასახული პროგრამის სწავლის შედეგებში, ერთი არის ფინანსების სწავლის შედეგი, ხოლო მეორე მარკეტინგის სწავლის შედეგი, ამიტომ ფიქრობენ დააკორექტირონ სწავლის შედეგები და აღმოფხვრან ეს პრობლემა.

რაც შეეხება შემდეგ რეკომენდაციას, რომელიც ეხება სტრატეგიული მენეჯმენტის საგანს, მათი აზრით მეტად მნიშვნელოვანი საგანია, მითუმეტეს ბიზნეს ადმინისტრირებისთვის ბატონი გოჩას თქმით პროგრამის კურსდამთავრებულები ძირითადად მუშაობენ საშუალო ან დაბალი მენეჯმენტის განხრით და პროგრამაში დევს ისეთი საგნებიც, როგორებიცაა მენეჯმენტის საფუძვლები და ოპერაციათა მენეჯმენტი, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საშუალო და დაბალი რგოლის მენეჯმენტისთვის აუცილებელი ცოდნის კრიტერიუმს, სწორედ ამიტომ

„სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები“ გადატანილია მენეჯმენტის მოდულში, მისი დაბრუნება ძირითად სავალდებულო მოდულში დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა მან შესაძლოა დაუკარგოს აზრი მენეჯმენტის კონცენტრაციას, რომელი მოდული სხვა მოდულებისგან უნდა იყოს რაღაცით განსხვავებული და ძლიერი. მისი აზრით, ეს ფაქტობრივად, გემოვნებაზე დავაა, თუმცა ძალიან კარგი იქნება თუ აკადემიურ თავისუფლებას დაუტოვებთ უნივერსიტეტს.

რაც შეეხება წინაპირობების ნაწილს, ისინი აბსოლიტურად ეთანხმებიან ექსპერტებს, გაპარული იყო შეცდომები/დასაკორექტირებელი იყო წინაპირობა, მათ შორის საგადასახადო საქმესთან მიმართებაში „ფინანსური აღრიცხვა“ და „ექსპორტის მენეჯმენტი“ - შეუძლებელია არ იყოს გათვალისწინებული ის საგანი, რომელიც მოქცეულია წინაპირობად, ეს იყო კოდირების შეცდომა და გადატანილი იყო არასწორად, შეცდომით იყო თავისუფალი საგნების ბლოკიდან. მათ მიერ გაზიარებულია, ასევე, პრაქტიკის კომპონენტთან არსებული რეკომენდაცია, საუბარია იმაზე, რომ ექსპერტთა ჯგუფი თხოვდათ პრაქტიკის მემორანდუმებში დადგენილი ყოფილიყო რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია თითოეულ ორგანიზაციას, რასაც ეთანხმებიან, მისი თქმით ძველ მემორანდუმებში ეს ვერ ჩასწორდება, თუმცა ახალ მემორანდუმებში კი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული, დაწესებულებას იმდენად ბევრი დამსაქმებელი ჰყავს ამის საჭიროება არ გამოკვეთილა.

ბატონმა ვასილმა განმარტა კრედიტების განაწილების საკითხები, ამბობს, რომ დაწესებულება მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინსტრუქციების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს სილაბუსების შედგენისა და კრედიტების გაანგარიშების წესს, სწორედ ამ წესის გათვალისწინებით მოხდა სასწავლო კურსებში კრედიტების გადანაწილების მექანიზმის დანერგვა, 6 კრედიტის შემთხვევაში საკონტაქტო საათები არის ერთიდაიგივე გარკვეულ საგნებში, თუმცა თუ ჩავხედავთ საკონტაქტო საათებს, ისინი იშლება სალექცო და სასემინარო საათებად და შესაბამისად არის დიდი სხვაობა სწორედ ამ საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს 0-21 საათამდე ლექცია და პრაქტიკულის შემთხვევაში 14-63 საათი, ისინი თვლიან, რომ აქ სრულად არის გათვალისწინებული საგნების სპეციფიკა და მიბმულია საგნის სირთულესთან, შესასწავლი მასალის მოცულობასთან, გამოცდილებასთან და ადმინისტრირების მიზნებთან, რომელიც აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას აღნიშნულ პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია ნაწილობრივ ეთანხმება ექსპერტების წარმოდგენილ დასკვნას, „კორპორაციულ ფინანსებთან“ დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ პროგრამის მიზნის პირველივე აზრაცში წერია, რომ პროგრამამ სტუდენტს უნდა შესძინოს ცოდნა, მარკეტინგში, ფინანსებსა და მენეჯმენტში, თუმცა ძირითად საგნებში ფინანსები საერთოდ არ ფიგურირებს, არის საგნები: „ფინანსური აღრიცხვა 1“, „ფინანსური აღრიცხვა 2“, „მენეჯერული აღრიცხვა“, მაგრამ მისი აზრით აუცილებელია ძირითად საგნებში იყოს „კორპორაციული ფინანსები“ ან ფინანსები რაიმე სხვა სახელით, დაწესებულებამ უნდა დააბალანსოს ფინანსები, მარკეტინგი და მენეჯმენტი. ბატონი გიორგის თქმით იქმნება საშიშროება, მიუხედავად იმისა რომ დაწესებულებას ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა დაყოფილი აქვს კონცენტრაციებად და სტუდენტი ღებულობს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს, მას შეუძლია ფინანსები საერთოდ არ ისწავლოს, რაც დაუშვებელია. აღნიშნავს, რომ სტუდენტი კონცენტრაციის არჩევის შემდეგ იღებს სიღრმისეულ ცოდნას კონკრეტული კონცენტრაციის მიმართულებით, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავს იმას, რომ მაგ., ფინანსების შესახებ შესაძლებელია საერთოდ არ ჰქონდეს წარმოდგენა.

ბატონი გიორგი განიხილავს „კორპორაციული ფინანსების“ ძირითად სასწავლო მოდულში გადატანას და ამბობს, რომ ეს დაწესებულების უფლებას, თუმცა ამ სილაბუსს სჭირდება გადახედვა, რადგან მეტად თეორიულია და საჭიროა იყოს პრაქტიკული, რადგან ადამიანები, რომლებიც შემდეგ მოხვდებიან კომპანიაში და დასჭირდებათ ფულადი ნაკადების ანალიზი, მოგება-ზარალის ანალიზი და ეს რეალურად უნდა შეძლონ, სილაბუსის მიხედვით 1 საათში არის ყველანაირი ანგარიშგება მოცემული, მითუმეტეს როდესაც ეს კონკრეტული კონცენტრაციით არის წარმოდგენილი, თუ ეს იქნება შესავალი კურსი (I-II სემესტრში) შესაძლებელია დარჩეს ასე, თუმცა არანაირ შემთხვევაში კონცენტრაციის კურსად.

მისივე თქმით დაწესებულებას აქვს საგანი „მეწარმეობა“, სადაც ბიზნესზე საერთოდ არ არის საუბარი, არის მათემატიკაზე, ეკონომიკა და ა.შ. მისი აზრით ჯობია კურსი, რომელიც რეალურად არის ბიზნესის შესავალი, იგულისხმება კურსი “Business in Action”, რომელსაც პირდაპირ სახელმძღვანელოს სათაური ჰქვია, რაც აბსოლუტურად ავტორის უფლებას, თუმცა ეს არის კლასიკური ბიზნესის საფუძვლების საგანი და არის არჩევითი, საიდანაც გამოდის, რომ სტუდენტს შეუძლია არ გაიაროს, როგორც ფინანსები, ასევე ბიზნესის შესავალი კურსიც. მისი ინტერესი ამ კურსისადმი, გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მან ჩათვალა ეს კურსი იქნებოდა უფრო პრაქტიკულ ცოდნაზე გათვალისწინებული, პროექტების მოფიქრებაზე, და ა.შ., თუმცა, როცა ჩახედა აღმოაჩინა, რომ ეს არის სტანდარტული, კარგად გაკეთებული ბიზნესის საფუძვლები, მისი აზრით ეს საგანი უნდა იყოს სავალდებულო და იკითხებოდეს პირველ სემესტრში და ამის შემდეგ იყოს მეწარმეობა, რადგან როცა ადამიანს წარმოდგენა არ აქვს ბიზნესზე ის კარგი ვერ იქნება მეწარმეობაში, ჯობია ჯერ შეექმნათ ბიზნესზე წარმოდგენა და შემდეგ გადავიდეს მეწარმეობაზე.

ბატონი გორგის თქმით, კურსის არჩევითი საგანი „პროექტების მართვა“, იმის გამო, რომ ბიზნესის სფეროში მნიშვნელოვანია საპროექტო მართვა/აზროვნება, უნდა იყოს სავალდებულო საგნების ბლოკში, ასევე ფინანსები აუცილებელია იყოს სავალდებულო ბლოკში, რომ სტუდენტმა ყველა კუთხით მიიღოს საბაზო ცოდნა და შემდეგ გადაწყვიტოს რა მიმართულებით გააგრძელებს ის სწავლას.

ბატონი ვასილი ეთანხმება ბატონ გიორგის და განმარტავს, რომ პროგრამაში უნდა იყოს პრაქტიკული კომპონენტი და სილაბუსების მიხედვით ფაქტობრივად არ არსებობს სილაბუსი, სადაც მეთოდოლოგიაში არ არის „ქეისები“ ან/და პრაქტიკული პროექტების განხორციელება, რაც ამ საკითხებს სრულად ფარავს, ზემოთ გამოთქმული ლოგიკის მიხედვით ნებისმიერი საგანი, რომელიც კონცენტრაციაშია წარმოდგენილი შეიძლება აღმოჩნდეს ძირითად საგნებში და ასევე შესაძლებელია ეს კონცენტრაციები გაუქმდეს, ამიტომ კონცენტრაციის განსხვავებას ხედავს პრაქტიკულ კომპონენტთან მიმართებაში, მათ შორის მენეჯერულ პროექტების მართვასთანაც, დაწესებულების წარმომადგენლების აზრით, მათი აკადემიური ხედვის თავისუფლებაში, შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ ეს არაფერს უქმნის საფრთხეს.

პროგრამის ხელმძღვანელის აზრით, ფინანსების საქმეზე არის ლოგიკური მოსაზრებები, როგორც ექსპერტთა ჯგუფის, ისე ბატონი გიორგის მხრიდანაც, ამიტომ ისინი იმსჯელებენ ამ რეკომენდაციის გათვალისწინებაზე. რაც შეეხება „მეწარმეობის“ სილაბუსს, მასში საგანი პირდაპირ არ უკავშირდება მეწარმეობას, ამ საგანს ასევე წინ უსწრებს საგანი „ეკონომიკის პრინციპები“, რომელიც სტუდენტს მთელ სისტემაზე უქმნის წარმოდგენას, თუმცა ეს მსჯელობის საგანია და ყველა მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ კიკნაძე განიხილავს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობას, რომ ეს არის 128 კრედიტი, რომელიც მოიცავს საწარმოო პრაქტიკასაც, თუმცა მერვე სემესტრშია გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკაც და საბაკალავრო ნაშრომიც და ეკითხება ბატონ ვასილს ხომ არ გულისხმობს ეს იმას, რომ საბაკალავრო ნაშრომი გადაიწევს მეცხრე სემესტრში, რომ მოხდეს ამ 128 კრედიტის ათვისება, ასევე მას აინტერესებს დაწესებულების პოზიცია ერთ-ერთ კურსთან „ექსპორტის მენეჯმენტთან“ დაკავშირებით, რადგან მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია ექსპორტის მენეჯმენტი, თუმცა მითითებული ლიტერატურა, გზამკვლევი უფრო ბროშურაა და არ წარმოადგენს სასწავლო ლიტერატურას, ასევე ინტერესდება რატომ არ მოიცავს პროგრამა იმპორტის საკითხებსაც, რომელიც მნიშვნელოვანია საშუალო ბიზნესისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს არის საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა, რაც არანაირად არ გულისხმობს საბაკალავრო ნაშრომის გადატანას მეცხრე სემესტრში. რაც შეეხება საგანს „ექსპორტის მენეჯმენტი“, მათი სამეწარმეო სპექტრი, მცირე და საშუალო ბიზნესი, პირდაპირ არის ორიენტირებული და ცდილობს საგარეო ბაზრების ათვისებას, მათთვის ეს პრიორიტეტია არამარტო ბიზნესისთვის, არამედ სახელმწიფო დონეზეც, როდესაც დაწესებულებამ ჩაატარა კვლევები პოტენციურ დამსაქმებლებთან და შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან, მათ თითქმის ერთხმად აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით სჭირდებათ სპეციალისტები, და ეს ცოდნა არის მათთვის პრიორიტეტული, რათა როგორმე შეაღწიონ საგარეო ბაზრებზე, გამართონ და შემდეგ მართონ ეს პროცესი. ასევე განიხილავს ლიტერატურის ნაწილს, სადაც ბროშურისა და გზამკვლევის გარდა მითითებულია ის სიღრმისეული/ფუნდამენტური ლიტერატურა, რომელიც არსებობს ქართულ და ინგლისურ ენებზე და თუ იტყვიან, რომ ბაკალავრები არიან და აუცილებლად ქართულ ენაზე უნდა ისწავლონ ამ შემთხვევაში მისაღებია შენიშვნა, ასევე აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი ლექტორი, რომელსაც ლიტერატურა წარმოდგენილი აქვს ქართულ ენაზე ეხმარება ამ პროცესს გაუმჯობესებაში, რადგან თითქმის არ არსებობს წიგნები ქართულად და ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ეს საგანი საერთოდ არ უნდა ისწავლებოდეს, პირიქით დაწესებულებამ უნდა გასწიოს ეს რისკი, რაც სილაბუსიდანაც ჩანს.

ექსპერტის ბატონი გოჩა თუთბერიძის თქმით გადამუშავებულ პროგრამაში დამატებულია საგნები „დარგობრივი ენა 1“ და „დარგობრივი ენა 2“, რაც შესაძლებელს ხდის სტუდენტებისთვის ისარგებლონ უცხოენოვანი ლიტერატურითაც.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია და მათი სტუდენტები ხშირად არიან ჩართულნი საერთაშორისო პროექტში, რომელსაც ამ პროცესებში ჩართული პირები აკვირდებიან და ძალიან მოსაწონია. თვითშეფასების ანგარიშში „3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება და მხარდაჭერის სერვისები“ არის ძალიან შთამბეჭდავი, მათ შორის, დევნილი სტუდენტებისთვის სპეციალური ვაუჩერები და სტიპენდიები, მას აინტერესებს ამ პროგრამაზე თუ ვრცელდება და შესაძლებელია ექსპერტებმაც თქვან როგორ წარმართა გასაუბრებები, ამ პროგრამაზე სულ 150-მდე სტუდენტი სწავლობს და რამდენად აქვთ ამ ყველაფერში ჩართვის საშუალება და რამდენად აქტიურად იღებენ მხარდაჭერის ღონისძიებებში მონაწილეობას, აინტერესებს აღნიშნული პროგრამის დამსაქმებლები რომელი სტრუქტურები არიან და სად არის მოთხოვნადი მათი კურსდამთავრებულები უფრო მეტად, ასევე სვამს კითხვას პროგრამის შეფასების ნაწილთან დაკავშირებით, კურიკულუმის რუკის მიხედვით „საწარმოო პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ გადის სწავლის III შედეგზე („ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“), ეს არის აბსოლუტურად სწორი, უბრალოდ მას სჭირდება დაზუსტება, ქვედა ნაწილში სადაც არის სწავლა-სწავლების მეთოდები და გამოყენებული აქტივობები, კონკრეტული აქტივობები, მაგ., დამოუკიდებელი მუშაობა, პროექტების შემუშავება და პრეზენტაცია, როგორ გადის დაწესებულება სწავლის III შედეგზე ?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცხრილში არის ორი კომპონენტი, რომელიც გადის სწავლის III შედეგზე, ესენია დამოუკიდებელი მუშაობა და პროექტების შემუშავება და მათი პრეზენტაცია, შესაბამისად პროექტებზე მუშაობა არ არის მხოლოდ სააუდიტორო მუშაობა, რომელიც ლექტორის მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს. აღნიშნული არის უამრავი შესასრულებელი დავალება, მათ შორის კვლევით ნაწილიც, რომელიც ეხმიანება ამ კომპონენტს, ამის გამო უკავშირდება ის III შედეგს და კარგად ჩანს, რომ დანარჩენი არცერთი ეხმიანება მას, ეს არის მიზანმიმართულად გააზრებული პროცესი და შემთხვევით ვერ მოხვდებოდა და ვერ მოხვდება, რადგან იგულისხმება „ქეისები“, პრაქტიკული მუშაობა და ა.შ.

პროგრამის ხელმძღვანელი საუბრობს დამსაქმებლებზე და ამბობს, რომ პროგრამა თანამშრომლობს, როგორც კერძო სექტორის, ასევე საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან, თუმცა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან ძირითადად საშუალო და ქვედა რგოლის მენეჯმენტზეა საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს საუნივერსიტეტო წესი, სტუდენტთა დაფინანსების შესახებ, რომლის მიხედვითაც დაფინანსებას იღებენ დევნილი სტუდენტები, ასევე არის საუნივერსიტეტო სტიპენდიები, ერთჯერადი ჯილდოები და ვაუჩერები, ეს საუნივერსიტეტო წესი არის საჯარო და გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე, გარდა ამისა სტუდენტებს გზამკვლევების სახითაც მიეწოდებათ ეს ინფორმაცია, არსებობს ელექტრონული რეგისტრაციის ლინკიც, სადაც სტუდენტები ავსებენ სარეგისტრაციო ფორმას და შესაბამის დოკუმენტაციას აბამენ, შემდეგ ექტრონულად უგზავნიან შესაბამის სამსახურს და ამის შესაბამისად ხდება 400 ლარიანი დაფინანსება ყოველსემესტრულად, მისი თქმით ბიზნესის პროგრამაზე დაწესებულებას მიმართა 4-მა სტუდენტმა და ოთხივე სტუდენტი სარგებლობს დევნილის გრანტით, ასევე არიან სტუდენტები, რომლებსაც არ მიუმართავთ დაწესებულებისთვის, რადგან არის სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტები საზღვრისპირა/ოკუპირებული ტერიტორიებიდან მყოფი სტუდენტებისთვის, შესაბამისად ვინც უკვე სარგებლობს 100%-იანი დაფინანსებით, ამ პირების ჩართულობა არ აღინიშნება. იგი მაღლობას უხდის ბატონი ნიკას საერთაშორისო პროექტებში მათი ჩართულობის აღნიშვნისთვის და ამბობს, რომ ექსპერტების ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ მიიღო ერასმუსის კიდევ ერთი გრანტი ბუქარესტის უნივერსიტეტთან, რომლითაც ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტებს ექნებათ საშუალება ისარგებლონ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია სოციალური მიმართულება, რომელიც პირდაპირ კავშირშია საგანმანათლებლო საქმიანობასთან, რაც პირველ რიგში მოიცავს სტუდენტების მხარდაჭერას, რათა მათ შეძლონ ხარისხიანი ცოდნის მიღება. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა კონტრაქტებზე სახელმწიფო ორგანიზაციებთან და მემორანდუმებზე, რომლებიც ასაბუთებს დოკუმენტურად იმ ურთიერთობებს, რომელსაც ერთობლივად ახორციელებენ, როგორცაა დევნილების მხარდაჭერის პროექტი, ხელშეკრულების თანახმად დევნილთა სამინისტროს სამართალმემკვიდრე აფინანსებს 400 ლარიანი საუნივერსიტეტო დაფინანსებით, ამასთანავე პანდემიის პერიოდში დაწესებულებამ შექმნა არაერთი სერიოზული პროექტი, მათი წახალისებისა და დახმარების მიზნით, ასევე მათ ჩაურთეს ინტერნეტი ყველა სტუდენტს, რომელსაც ჰქონდა ამის პრობლემა, თავდაპირველად მოხდა მათი გამოკითხვა/გამოკვლევა და შემდეგ ყველას მოეხსნა ინტერნეტის პრობლემა, ამის გარდა გადაჭრეს „ნოუტბუქების“ პრობლემაც, ვისაც შეეძლო „ნოუტბუქის“ აღება, რომ ჩართულიყვნენ სალექციო პროცესში. მისი თქმით, ერთი საკითხია საერთაშორისო დაფინანსება ერასმუსის კუთხით და ასევე უნივერსიტეტს გააჩნია პირადი საუნივერსიტეტო კავშირები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, აქედან გამომდინარე ხდება სტუდენტების დაფინანსება არაერთ უნივერსიტეტში. ასევე

უნივერსიტეტი არის არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, სადაც გაერთიანებულია უამრავი მაღალი ხარისხის უნივერსიტეტი და ისინი ამ ხელშეკრულებების თანახმად ერთმანეთში ცვლიან სტუდენტებსა და მხარდამჭერ სერვისებს, ასევე მისი აზრით კონკრეტულად უნდა იყოს ჩანაწერი ხელშეკრულებაში რამდენ სტუდენტზე შეიძლება გაკეთდეს აქცენტი პრაქტიკისა და სტაჟირების დროს, მაგრამ გვაქვს ასეთი ჩანაწერი, რომეოველი წლის დასაწყისში ხდება შეთანხმება ორგანიზაციასა და უნივერსიტეტს შორის, თუ რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებს ორგანიზაცია, რადგან საქართველოში არსებული ეკონომიკური მდომარეობა არ არის სტაბილური, როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე კერძო სექტორისთვისაც, შესაბამისად 5-10 წლიანი ხელშეკრულებაში, რომ ჩაიწეროს ციფრი ეს უნდა იყოს მინიმალური, დამლევადი და შესრულებადი, ეს არის ლოგიკა, თუმცა გაცილებით რეალისტურია ის მოდელი, რასაც დაწესებულება ამ ეტაპზე ახორციელებს, რადგან მათ აქცენტი აქვთ რეალისტურობაზე და არა უბრალოდ ჩანაწერზე. მისი თქმით ყველა აზრს აქვს არსებობის უფლება, ამიტომ ყველა საღ აზრს, რომელიც უნივერსიტეტის პოლიტიკასთან წინააღმდეგობაში არ არის და შედეგზე ორიენტირებულია განიხილავენ და გაითვალისწინებენ. ის აღნიშნავს, რომ ექსპერტებიც დაეთანხმებიან იმ აზრს, რომ პროგრამა გადის შედეგზე.

საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ განმარტა, რომ თვითშეფასების კითხვარი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო წლების მანძილზე აჩვენებს, რომ V მიღებაზე მხოლოდ 10 სტუდენტის მიღება ფიქსირდება, მას აინტერესებს დინამიკის კლების მიზეზი და ასევე შიდა და გარე მობილობაზე, I მიღებაზე 144 სტუდენტი გადავიდა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე შიდა მობილობით და მხოლოდ 12 კურსდამთავრებულია წარმოდგენილი, მას აინტერესებს ეს სტატისტიკური მაჩვენებელი შეცდომით არის მოცემული თუ აკადემიური სახის პრობლემაა, რომელიც არ არის დაძლეული, რაშიც ეჭვი ეპარება, რადგან კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგები წლების მიხედვით ამის შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

ქალბატონი გურანდა გამოთქვამს მოსაზრებას თავისუფალ კომპონენტებთან მიმართებაში და ამბობს, რომ ძალიან კარგად არის სილაბუსები აწყობილი, თუმცა საქართველოს ისტორიის სილაბუსთან მიმართებაში უნდა აღნიშნოს, რომ ლექტორი პირდაპირ წერს სწავლის შედეგებში „აღწერს საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ. პროცესებს“, თუმცა სტუდენტი ნამდვილად ვერ აღწერს მიმდინარე პროცესებს, რადგან ბოლო თემა მიმოიხილავს საბჭოთა პერიოდს და დამოუკიდებლობის პირველ წლებს, ამიტომ მისი რეკომენდაციაა გადაიხედოს თემატური საკითხი, ლიტერატურაში წარმოდგენილია 5 სავალდებულო წიგნი, რომლებიც ერთმანეთს გადაფარავენ და უმჯობესი იქნება, რომ ამ წიგნებიდან აირჩეს ერთმანეთის არა გადამფარავი წიგნები, მითუმეტეს, როდესაც ეს საგანი არის თავისუფალი კომპონენტი და ლექტორების მიერ ჩაღრმავება ხდება წყაროებზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელი განმარტავს შიდა მობილობის საკითხს, რომ დაწესებულებას ადრე ჰქონდა ფინანსების საბაკალავრო პროგრამა, რომელიც შემდეგ გაუქმდა და მოხდა არსებული სტუდენტების შიდა მობილობით ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე ფინანსების კონცენტრაციით გადაყვანა და სწორედ ამან გამოიწვია შიდა მობილობის დიდი მაჩვენებელი, ზოგადად მიღებაზე კი ამბობს, რომ უნივერსიტეტი არ გამოირჩევა დიდი ხნის ისტორიით, 2015 წელს მიიღეს ავტორიზაცია და უნივერსიტეტს დღემდე აქვს პოლიტიკა და გეგმაზომიერი მსვლელობა, რომელიც დაკავშირებულია ბევრ ფაქტორზე, მიუხედავად ამისა ამ პერიოდის მანძილზე მათ დაამყარეს კავშირები ბევრ უნივერსიტეტსა და საერთაშორისო ქსელებთან, შექმნეს და დანერგეს სტუდენტური სერვისები, ასევე უნივერსიტეტმა შეიძინა ახალი კამპუსისთვის შესაბამისი რესურსები და წელს დამთავდება ეს პროექტი, რომელიც მათი გადასახედიდან ძვირფასია, ეს კამპუსი

მოიცავს, როგორც სასწავლო მიმართულების სეგმენტს, ასევე კვლევითი საქმიანობისას ცალკე და ამავე დროს ავტონომიური სტუდენტური სივრცეების ნაწილსაც, მათი აგრესიული მარკეტინგი ამ კუთხით გააქტიურდა ბოლო 2 წელია და კურსდამთავრებულთა მცირე რაოდენობა მეტყველებს იმაზე, რომ ყველა მარტივად ვერ ამთავრებს, მათი ამოცანა სწორედ ის იყო, რომ აქცენტი გაეკეთებინათ მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებზე, მოეზიდათ სტუდენტების ის რაოდენობა, რომლებიც რეალურად შეძლებენ პროგრამის დაძლევას და შექმნილიყო ის პირობები, რომელიც მათ მაღალკვალიფიციურ კადრად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავს, რომ მას უჭირს ისტორიაზე საუბარი რადგან ისტორია იცის, თუმცა არ არის ისტორიკოსი, შესაბამისად ამ საკითხს განიხილავენ სილაბუსის ავტორთან ერთად, ხოლო რაც შეეხება ლიტერატურას, ისტორიის ლიტერატურაში 5 ან თუნდაც 10 წიგნი, რომ იქნას აღებული, რა თქმა უნდა, საკითხები ფაქტობრივად ერთიდაიგივე იქნება, თუმცა ეს საკითხიც შესაძლებელია იქნეს განხილული სილაბუსის ავტორთან და მასთან ერთად საჭიროების შემთხვევაში მოხდება კორექტირება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:45

დასრულების დრო: 16:04

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

• საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

ა) სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის უზრუნველსაყოფად, სასწავლო კურსების შინაარსის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „საგადასახადო საქმე“ წინაპირობად განისაზღვროს „ფინანსური აღრიცხვა II“;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით დასაზუსტებელია ტექნიკური ტიპის საკითხი, კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურსის „ექსპორტის მენეჯმენტი“ წინაპირობად განსაზღვრულია არჩევითი სასწავლო კურსი „საერთაშორისო მარკეტინგი“, რაც აღნიშნული სასწავლო კურსის არჩევას სავალდებულოს ხდის;

გ) რეკომენდირებულია პრაქტიკის მემორანდუმები მოიცავდეს ინფორმაციას პრაქტიკის ხანგრძლივობისა და ასევე, პრაქტიკის ობიექტზე აკადემიური წლის განმავლობაში გასაგზავნი სტუდენტების შესაძლო მაქსიმალური რაოდენობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა კომპონენტის უკეთ დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესს;

დ) რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები“ გადავიდეს ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში. აღნიშნული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები მნიშვნელოვანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულისთვის;

ე) სავალდებულო საგნებად განისაზღვროს კორპორაციული ფინანსები, ფინანსების მენეჯმენტი, ფინანსების საფუძვლები;

ვ) რეკომენდირებულია გადაიხედოს „საქართველოს ისტორიის“ სილაბუსის თემატური საკითხი, წარმოდგენილი ლიტერატურა შეირჩეს ისე, რომ არ ჰქონდეს ერთმანეთთან გადაფარვა.

რჩევები:

ზ) სასურველია „მეწარმეობის“ წინაპირობად განისაზღვროს ბიზნესის საფუძვლები;

თ) სასურველია გადაიხედოს კურსების სახელწოდებები და არ იყოს იდენტური სახელმძღვანელოების სათაურის.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 12 ნოემბრის N 201 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	

9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0186, უნივერსიტეტის ქ. N2, თსუ X (მაღლივი) კორპუსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა - ირმა წერეთელმა.

თვითაცილების საფუძველი: ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა განმარტა, რომ ძირითადი შენიშვნები ეხებოდა იმ ნაწილს სადაც დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ დოქტორანტებს თითო-თითო ნაშრომი წარედგინათ რომელიმე საზღვარგარეთულ ჟურნალში, ექსპერტი ციტირებდა დაწესებულების მიერ ჩანაწერს, რომ უნდა ყოფილიყო მაღალ რეიტინგული ჟურნალი, რომელსაც ISSN კოდი (საერთაშორისო სტანდარტული სერიული ნომერი) ექნებოდა ამასთან დაკავშირებით ჰქონდა პირველი შენიშვნა, რომ ISSN კოდი არ განსაზღვრავს და მეტიც არანაირ კავშირში არ არის მაღალ რეიტინგთან, დაბალ რეიტინგთან ან საერთოდ რაიმე სახის რეიტინგთან, ISSN კოდი არის ჩვეულებრივი საერთაშორისო კოდი, რომელიც ენიჭება ნებისმიერ პერიოდულ პუბლიკაციას, რომელსაც, როგორც მინიმუმ 3 გამოცემა მაინც აქვს, ანუ ნებისმიერ პერიოდისას, როგორც ელექტრონულს, ასევე ბეჭდურს, ეს შეიძლება იყოს ელექტრონული ბიბლიოთეკა, ჟურნალი, გაზეთი.

ექსპერტი განიხილავს დაწესებულების მცდელობას რეკომენდაცია მისცეს სტუდენტებს რომელ ჟურნალში უნდა დაიბეჭდოს მათი ერთი სტატია მაინც, ეს დაწესებულების გადაწყვეტილებაა, მას მითითებული მაქვს რომ 25000 ასეთი გამომცემლობა არსებობს და 1500 გამომცემლობაა, რომელსაც აქვს ე.წ. „იმპაქტ-ფაქტორი“ და შესაბამისად იკითხება Google Scholar-ის ბაზაში, ექსპერტი ექვს გამოთქვამს იმის შესახებ, რომ ამ სიის შედგენა რამეში შველოდეს სტუდენტს, რადგან „იმპაქტ-ფაქტორს“ ანიჭებს ისეთ ამერიკული დაწესებულება სარეიტინგო სააგენტო, როგორცაა როიტერი, შესაბამისად საექვოა ამ ჩამონათვალმა რამე ორიენტირი მისცეს სტუდენტს, მიუხედავად ამისა, თუ ეს გამოცემები დაჯგუფებული იქნებოდა წლების, ინდექსების ან რაიმე ნებისმიერი ნიშნის მიხედვით უფრო გასაგები იქნებოდა მისი შედგენის პრინციპი.

ექსპერტის აზრით ჩანაწერები ძალიან არეულია, არ არის მკაფიოდ გამიჯნული რა აქვს დაწესებულებას მხედველობაში „სკოპუსი“, „იმპაქტი“ თუ ორივე ერთად, რომელ ბაზებში იკითხება Scopus, რომელში იმპაქტი არაფერი არ არის მკაფიოდ გამიჯნული და მას არ გონია, რომ დაეხმაროს დოქტორანტებს, რომელთათვისაც ეს პირველი გამოცდილება იქნება.

ექსპერტი შეჯამების სახით ამბობს, რომ პროგრამა დასახვეწია, იგი დარწმუნებულია, რომ თსუ-ის ბევრი პროფესორი აქვეყნებს იმპაქტ-ფაქტორიან და Scopus ინდექსიან ჟურნალებში, მიუხედავად იმისა, რომ Scopus ინდექსიანი და შესაბამისად Web Of Science ბაღეში არსებული ჟურნალები ძვირადღირებულია, ფასები 500-1500 ევროა, თუმცა იქ არის რეცენზირების ფასიც, ანტიპლაგიატზე გატარებაც, რედაქტირებაც და შესაბამისად ყველაფერს მოიცავს. გარდა ამისა ამხელა ფასი განპირობებულია მაღალი ციტირების ინდექსით ამ ჟურნალებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ არსად არ არის საუბარი ჰირშის ინდექსზე და აქაც არევა დაინახა და ამბობს, რომ არაკომპეტენტურად არის ეს ჩანაცვლება წარმოდგენილი, თუმცა კარგია მცდელობა, რომ დოქტორანტებმა ასეთ ჟურნალებში გადააგზავნონ თავისი ნაშრომები, თუმცა სათუთა ნაშრომებს მიიღებენ თუ არა, რადგან იქ დაბეჭდვისთვის პირველ რიგში იმ მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულებაა საჭირო, რასაც ჟურნალი ითხოვს, ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა სახის და როგორი ორიგინალობის კვლევაა წარმოდგენილი გაგზავნილ სტატიაში, ერთი სიტყვით, პროგრამა არის დასახვეწი, ეს არ არის დასრულებული ფორმით შესრულებული და ექსპერტების მიერ მიცემული შენიშვნები არ არის სრულად გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ქალბატონი ირმა გრძელიძე (თსუ-ის ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი) განმარტავს, რომ აღნიშნულმა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია და დაევალა ანგარიშის წარმოდგენა რამდენიმე რეკომენდაციის გათვალისწინების საფუძველზე, ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია ან პროცესი დაწყებულია. ჰყავდათ ექსპერტთა კორპუსი, რომელიც აფასებდა/ამოწმებდა პროგრამას აკრედიტაციის მიღებამდე, ჰყავდათ უცხოენოვანი ექსპერტიც, რომლებმაც პროგრამას მიანიჭა სამაგალითო დასკვნა, ხოლო ქალბატონი მაიას მიერ დაწერილ რეკომენდაციებზე ამბობს, რომ გათვალისწინებულია და სწორედ ექსპერტთა დასკვნის საფუძველსა და იმ მინიმალური სტანდარტის საფუძველზე რომელიც ინსტიტუციამ სულ ახლახანს მიიღო განსაზღვრა მთელი რიგი ცვლილებების გატარების აუცილებლობა სადოქტორო მიმართულებით მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით. აღნიშნული მინიმალური სტანდარტი ამბობს, რომ ერთი სტატია მაინც აუცილებლად უნდა იყოს დაბეჭდილი მაღალრეიტინგულ ჟურნალში, თუმცა 2018 წლამდე ჩარიცხული სტუდენტებისთვის ეს არ იქნება მოთხოვნილი, მას შემდეგ კი იქნება.

ქალბატონი ირმას თქმით, რეკომენდაცია იყო დაწერილიყო სია სტუდენტებისთვის მათი სტატიის რომელ ჟურნალებში დაბეჭდვა იქნებოდა მათთვის უპირატესი, სადაც ინსტიტუციას შეეძლო დაეხმარებოდა, ეს სია აუცილებლად გაიზრდება იმის მიხედვით სად შეეძლება პროგრამის ხელმძღვანელებს, თემის ხელმძღვანელებს სტუდენტების მხარდაჭერა კონკრეტული მიმართულებით.

იგი აღნიშნავს, რომ არავის სჭირდება ახსნა და ყველასთვის ნათელია, რომ ამ ჟურნალებში დაბეჭდვა უკავშირდება მაღალი ხარისხის კვლევების არსებობას და შესაბამისად ამ კვლევების გამოქვეყნებას, სწორედ ამიტომ ფაკულტეტი აქტიურად მუშაობს, რომ იყოს მაღალი ხარისხის ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული, აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი, ისევე, როგორც ფაკულტეტი განსაკუთრებულ ფინანსურ რესურსებს გამოყოფს სტუდენტების მხარდაჭერისთვის, რადგან მათ პუბლიკაციების დაბეჭდვა შეეძლონ ან მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში, იმის განმარტება ISSN კოდი რომელ ჟურნალებს ენიჭება ცალსახად არ არის ფაკულტეტისთვის დასასაბუთებელი, ეს პროცესი მიმდინარეობს და განვითარების ეტაპზეა, მისი თქმით დაწესებულება ამ განვითარებას უყურებს არა, როგორც მიიღო აკრედიტაცია და

პროცესი დასრულდა, არამედ მიიღო აკრედიტაცია და პროცესი გრძელდება, რაც გულისხმობს მუდმივ განვითარებას.

ბატონი გიორგი ღაღანიძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი) განმარტავს რომ, გაუგებრობა რომელიც არის ექსპერტის დასკვნაში გამომდინარეობს რეკომენდაციიდან, რომლის თანახმადაც სია უნდა გაკეთებულიყო არა სად უნდა დაიბეჭდოს სტატია, არამედ დაწესებულებას უნდა გაეკეთებინა ჟურნალების სარეკომენდაციო ჩამონათვალი, ვინაიდან პროგრამის მოთხოვნა სიტყვა-სიტყვით იმეორებს თსუ-ის მინიმალურ სტანდარტს, რომელიც მიღებულია 2018 წლის 27 დეკემბერს, საქმე იმაშია, რომ ამ სტანდარტის მიხედვით ორიდან ერთი მაინც უნდა იყოს ან Scopus ინდექსირებულში ან Web Of Science-ში, რაც შეეხება ISSN-ს ეს სტანდარტული ჩანაწერია დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში. იგი აღნიშნავს, რომ ყველამ კარგად იცის რა არის ISSN, რა არის Scopus და რა არის Web Of Science, რეალურად საერთაშორისო ექსპერტის, პანდელისის, დასკვნა პროგრამისგან ითხოვდა, რომ საორიენტაციო ჩამონათვალი გაეკეთებინათ, მართალია ასეთი ჟურნალი ბევრია, მაგრამ პროგრამის ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა ფაკულტეტის სპეციფიკიდან და ქართველი ავტორების ყველაზე ხშირი გამოქვეყნებიდან, აზუსტებს, რომ ეს არის საორიენტაციო და მოთხოვნა, რომ ერთი მაინც იყოს Scopus-ში ან Web Of Science-ში, თუ არ იქნება საიტი აქ, მაგრამ იქნება ინდექსირებული მოთხოვნა, რა თქმა უნდა, ჩაითვლება შესრულებულად.

პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ მათ იციან თანხებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ და ფაკულტეტის ბიუჯეტში ითვალისწინებენ, ისინი უკვე რამდენიმე წელია იყენებენ ამ პრაქტიკას და ცალკე აქვთ დოქტორანტისთვის და ცალკე აკადემიური პერსონალისთვის გათვალისწინებული თანხები, რადგან თუ დოქტორანტი ხელმძღვანელთან ერთად დაწერს ნაშრომს მათ ფაკულტეტი გაუმარტივებს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოცემას და ეს არ იქნება მათი ფინანსური პრობლემის საფუძველი. ასევე, აღნიშნავს, რომ თსუ-ში არკვევენ რა არის ISSN, Web Of Science და Scopus, და მიღებულია, რომ ერთი მაინც იყოს ასეთი პუბლიკაცია, მეორე სტატიისთვის შერჩეულია მინიმალური სტანდარტი, თუ საუბარია იმაზე რომ მეორე პუბლიკაციის სტანდარტიც გაიზარდოს ამაზე მითითება და რეკომენდაცია არ ყოფილა.

ბატონი დიმიტრი გეგენავა ერთვება საუბარში და აღნიშნავს, რომ იურიდიულად, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი იურისტებთანაც იქნება გავლილი, ჩამოყალიბებულია ნორმატიული ტექსტი, რამაც შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს, თუმცა მას არ გონია გაუგებრობა იყოს იმაში, რაც წერია ექსპერტის ციტირებულ დასკვნაში, სადაც არის რამდენიმე კუმულაციური, (1) სავალდებულო პირობა, რომელიც უნდა ქონდეს გამოყვენებულ პუბლიკაციას, ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში, რომლებსაც აქვს ISSN კოდი ეს ერთი სავალდებულო წინაპირობა, მისი აზრით, თსუს-ს სამეცნიერო დეპარტამენტმა თავი დაიზღვია, რადგან ზოგიერთ საკონფერენციო მასალას შეიძლება არ ქონდეს ISSN კოდი; (2) ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ეს ავტომატურად გამორიცხავს ნებისმიერ ISSN კოდიან ჟურნალს; (3) ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით, რაც ავტომატურად გულისხმობს, რომ არის უცხოენოვანი (მინიმუმ ერთ-ერთ საერთაშორისო ენაზე) და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის.

ბატონი დიმიტრი ჩანაწერს განიხილავს როგორც იურისტი და წაკითხვის შემდეგ იფიქრებდა, რომ საუბარია საერთაშორისო ჟურნალებზე, რომლებიც არის Open Access და უფასოა მათში სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის Scopus-შიც არის ასეთ ჟურნალები, ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით მინიმუმ 30-40 ჟურნალი მაინც არის, რომელიც თავისუფალ წვდომაშია და უფასოა, განსაკუთრებით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის

ჟურნალები. იგი აფასებს ბატონი პანდელისის რეკომენდაციას, რადგან მას სურს, რომ მეტი სიცხადე შეიტანოს, რადგან ეს საპოლემიკო თემა არ უნდა გამხდარიყო, ბატონი დიმიტრი პირადადაც იცნობს ბატონ პანდელის, მისი აზრით რეკომენდაციაში გულისხმობდა, რომ სარეკომენდაციო სიის ჩამოწერა გავრცელებული პრაქტიკაა, მათ შორის სამხრეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომელთაც აქცენტი აქვთ საერთაშორისო გამოქვეყნებაზე და ჯერჯერობით პრობლემა აქვთ ასეთ საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობის მხივ, რაც ბუნებრივია თუმცა არ უნდა იყოს დათქმა, რომ ამ ჟურნალების მიღმა არ შეიძლება გამოქვეყნება, რაც აპრობირებული პრაქტიკაა, რადგან დოქტორანტებს უმარტივებ საქმეს და ისინი ფაქტობრივად გაკვალულ გზაზე გადიან.

მისი აზრით, საბოლოო ჯამში ექსპერტიც და დაწესებულებაც ერთ პოზიციაზე არიან, უბრალოდ ფორმულირებაა დასაკონკრეტებელი და აღსაქმელი. ბატონი დიმიტრი ექსპერტის მიმართ აღნიშნავს, რომ დასკვნაში არაა შეფასება გაკეთებული შესრულდა თუ არა რეკომენდაციები, მსჯელობიდან კი შეიძლება დადგენა, თუმცა შეფასება კარგი იქნებოდა.

ბატონი ირაკლი კოვზანაძე (პროგრამის ხელმძღვანელი) ამბობს, რომ სტატიებთან დაკავშირებით გასაგებია და არაფერია პრობლემატური. იგი აღნიშნავს, რომ მათ ბოლო სხდომაზეც ჰქონდათ ასეთი პრაქტიკა - სტუდენტს თავის მეცნიერ-ხელმძღვანელთან ერთად ჰქონდა შესრულებული ნაშრომი და არც კი ჩაუთვალეს, მას აინტერესებს უცხოელი ექსპერტის შეფასებაში არის თუ არა რაიმე სხვა მოთხოვნები გარდა დოქტორანტების მიერ სტატიების გამოქვეყნებისა.

ბატონი დიმიტრი პასუხობს, რომ უცხოელ ექსპერტთან საუბარი არაა შესრულებული ანგარიშის განხილვაზე, შესაბამისად სხვა რეკომენდაციები არ დაუმატებია ქალბატონ მაიას და სწორედ ანგარიშზე დასკვნის მომზადება - გულისხმობს ექსპერტის მიერ იმ კონკრეტული შესრულებული ანგარიშის და რეკომენდაციების შესახებ დასკვნის მომზადებას და მეტს არაფერს.

ექსპერტმა განმარტა, რომ მას არ უთქვამს, რომ თსუ-მ არ იცის რა არის ISSN კოდი, მაგრამ ჩანაწერდან ეს არ ჩანს - „ისეთი მაღალრეიტინგული ჟურნალები რომლებსაც გააჩნიათ ISSN კოდი“, არ არის კორექტული ჩანაწერი, ვინაიდან ISSN კოდი რეიტინგთან არანაირ კავშირში არ არის, რაც შეეხება საერთაშორისო კოლეგიას, ეს არ არის იმის მაჩვენებელი მაღალრეიტინგულია თუ დაბალრეიტინგული მოცემული ჟურნალი.

ექსპერტი ამბობს, რომ სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში ზუსტად მაგას ამბობს, რომ ეს ფორმულირებები უნდა გაიწმინდოს და გახდეს მკაფიო. აღრევა არის ერთსა და მეორეს შორის და მან ვერ გაიგო რატომ გახდა საეჭვო მისი გამონათქვამი იმასთან დაკავშირებით რომ უნდა იყოს თუ არ უნდა იყოს სია, რა თქმა უნდა, უნდა იყოს. ის ამბობს, რომ ასეთი სიის არსებობა არ არის ურიგო მითუმეტეს დოქტორანტს უნდა მიეცეს გზა, რომელზეც ივლის უპრობლეოდ. ასევე აღნიშნავს, რომ მას არსად არ შეხვედრია უფასო Scopus ინდექსიანი ჟურნალები, დანამდვილებით შეუძლია თქვას, რადგან ბოლო 5 წლის მანძილზე 5 პუბლიკაცია აქვს Scopus-ში და სხვადასხვა კონტინენტების ჟურნალებში გაგზავნილი და უფასო არ შეხვედრია, არც აღმოსავლეთ ევროპული Scopus ინდექსიანი ჟურნალები. მისი თქმით, ეს არის ეგრედწოდებული შავი ჟურნალების სია, რომელიც მარტივად იძებნება, მისი აზრით კარგია, როდესაც არსებობს საორიენტაციო სია, იმის სათქმელად თუ სად უნდა წავიდეს სტუდენტი და როგორ უნდა მოძებნოს ის პუბლიკაცია, რომელსაც მას თხოვს უნივერსიტეტი/დაწესებულება, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ეს სია რეიტინგის ან რამის მიხედვით იყოს დაჯგუფებული, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ ასეთი სია არის სუბიექტური, რაც აბსოლურტურად შესაძლებელია, მაგ., შესაძლებელია ვინმემ ჩათვალოს, რომ Scopus მეოთხე

კვარტილია და არ არის პირველი, მეორე ან მესამე კვარტილი, რეკომენდაცია გასცეს რომ მეოთხე კვარტილში გამოაქვეყნდეს, რაც ღირს 1200 ევრომდე, ამიტომაც აქ მკაფიოდ უნდა იყოს გამოიჯნული რის რეკომენდაციას ვაძლევთ სტუდენტებს და ამ სიას ეს საფუძველი არ ეტყობა, სიას სპეციალისტი, რომ შეხედავს უნდა მიხვდეს დაჯგუფების პრინციპს. რაც შეეხება, იმას სად არის გამოაქვეყნებული და რომელ ბაზებშია „იმპაქტ“ და Scopus ფაქტორიანი ჟურნალები, ექსპერტმა ვერც მანდ დაინახა მკაფიო გამოიჯნა.

ქალბატონი მაია აღნიშნავს, რომ მას არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ჩაითვალოს თსუ-მ შეასრულა რეკომენდაციები, რადგან რაც ურჩიეს რეალურად გააკეთეს, თუმცა მკაფიოდ, რომ გაეკეთებინათ და ჩანაწერები მკაფიო ყოფილიყო გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რადგან ძალიან ბევრი უზუსტობა წარმოშობს იმ შენიშვნებს რაზეც მას ქონდა საუბარი.

ბატონი დიმიტრი მიმართავს ექსპერტს, რომ არსებობს ანგარიშის ფორმა, სადაც მას შეუძლია მიუთითოს რეკომენდაციების რამდენი პროცენტი შესრულდა, მეტწილად შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, თუ სრულად შესრულდა, ასევე აინტერესებს მიზანმიმართულად გამოტოვა თუ გამორჩა ეს ნაწილი.

ექსპერტი ბოდის იხდის, ამბობს, რომ ეს ნაწილი გამორჩა და თვლის, რომ რეკომენდაციები ნაწილობრივ არის შესრულებული.

სხდომის თავმჯდომარემ დაამატა, რომ არასაპოლემიკოდ შეუძლია ჩამოთვალოს დაახლოებით 30 ჟურნალი, რომლებსაც აქვს ე.წ. თავისუფალი წვდომა აქ საუბარი არ არის ე.წ. „შავ“ და „ნაცრისფერი“ ჟურნალებზე, საუბარია ისეთ ჟურნალებზე, რომლებიც Scopus-შიც არის და Web Of Science-ის ბაზებზეც, აღნიშნავს რომ დარგის გათვალისწინებით შეიძლება სხვებიც იყოს და არანაირად არ ისახავდა მიზნად ექსპერტთან პოლემიკაში შესვლას, რადგან ის ბიზნესის სპეციალისტი არ არის, თუმცა სამართალში ნამდვილად არის ასეთი ჟურნალები, მათ შორის ინტერდისციპლინურებიც, მაგ., უნგრეთს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, ჩეხეთისა და სლოვაკეთის რამდენიმე ჟურნალი და ა.შ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ კიკნაძის თქმით წინა დასკვნაში ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო, რომ აღნიშნულ პროგრამაზე გაეზარდათ სასწავლო კომპონენტი 60 კრედიტამდე და ახლა რა პროგრამაც მასთან მივიდა იქ ისევ 50 კრედიტია და აინტერესებს რატომ მოხდა თუ არა ექსპერტთა ამ რეკომენდაციის გათვალისწინება და კარგი იქნებოდა საბჭოს ენახა განახლებული პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გაიზარდა სასწავლო კომპონენტი 60 კრედიტამდე და ანგარიშშიც არის ასახული როგორ გაიზარდა.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა განმარტა, რომ გასაგებია რეკომენდაცია და რაზეც მსჯელობდნენ, რეკომენდაცია რაც იყო ამას ამოწმებდა ექსპერტი, შეფასების კუთხით, რაც შეეხება საკითხს უნდა იყოს თუ არა სია, მისი აზრით დოქტორანტები უნივერსიტეტის მხრიდან არ უნდა შეიზღუდონ სიით, თუმცა მისთვის გასაგებია, რომ დაწესებულებამ შეასრულა მიცემული რეკომენდაცია, ექსპერტთან აქვს კითხვა, მისთვის გასაგებია, რომ არსებული რეკომენდაციების გარშემო ხდებოდა დოკუმენტების შემოწმება, თუმცა ამ რეკომენდაციების გარდა ხომ არ იყო რაიმე, რაც მათ რჩევის სახით ქონდათ და დასკვნაში არ არის დაფიქსირებული.

ექსპერტმა განმარტა, რომ როდესაც მასალები გადაეცა ყველა რეკომენდაციას ყურადღებით გაეცნო, ხუთიდან ოთხ შემთხვევაში უწერია, რომ დაწესებულებამ შეასრულა რეკომენდაცია, ხოლო ერთ შემთხვევაში, სადაც შენიშვნა აქვს დაწერილი მექანიკურად გამორჩა, მაგრამ თვლის, რომ ნაწილობრივ არის შესრულებული, როდესაც დაწესებულებას სასწავლო კომპონენტში ჰქონდა 50 კრედიტი და უმჯობესად ჩაითვალა 60 კრედიტი მათ გახადეს 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტი და აქ რეკომენდაციის აშკარად შესრულებასთან გვაქვს საქმე, თუმცა, როდესაც ქმედება არაკორექტულადაა დაფიქსირება, არის რაღაც აღრევები, თითქოს პატარა უზუსტობები, შეიძლება ჩაითვალოს, რომ რეკომენდაცია ბოლომდე არ არის შესრულებული. მისი აზრით, სიის არსებობა ან არ არსებობა აფუჭებს საქმეს, რადგან 3 წელს ატარებს დოქტორანტი უნივერსიტეტში, იგი ზრდასრული ადამიანი და პროფესიონალია, 3 წელიწადში არ უნდა გაუჭირდეს თავის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტთან ან/და უნივერსიტეტთან კომუნიკაცია, როდესაც ის ასრულებს სადოქტორო ნაშრომს და შეუძლებელია რჩევა/რეკომენდაციები მოაკლონ უნივერსიტეტის პროფესორებმა სად წავიდეს და რა გააკეთოს, თუკი იყო რეკომენდაცია, რომ ყოფილიყო ეს სია სულაც არ არის ეს ურიგო, რომ უნივერსიტეტმა გააკეთა და გაითვალისწინეს რეკომენდაცია. ექსპერტი ამბობს, რომ ამ რეკომენდაციის უფრო მკაფიოდ შესრულება შეიძლებოდა, ანუ თუ უნივერსიტეტი აკეთებს საორიენტაციო სიას, ეს სია რაღაცას უნდა ეფუძნებოდეს, რატომ აძლევენ სტუდენტს კონკრეტულ რეკომენდაციას, თუ უბრალოდ ნახეს ეს ჟურნალები, ყველა მათგანი ჯდება მოთხოვნაში და ამიტომ შეიტანეს აღნიშნულ ნუსხაში. მისი თქმით დაწესებულების წარმომადგენლებმა რამდენჯერმე ახსენეს, რომ უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვლილია დოქტორანტებისთვის, რომ გაუწიონ ფინანსური დახმარება ნაშრომის გამოსაქვეყნებლად, რაც კარგია, თუმცა როდესაც სია დგება ის რაღაც წესს უნდა ემორჩილებოდეს, მაგ., დალაგებული იყოს ანბანის, რეიტინგის ან სხვა ნიშნის მიხედვით. მაღალია თუ დაბალი „იმპაქტი“ თუ Scopus, რაც ციტირების ინდექსზეა დამოკიდებული, აქ მაღალზე და დაბალზე არ არის ლაპარაკი ერთნაირი ხარისხის არის, Q1, Q2, Q3-ც და Q4-ც, როდესაც Scopus-ზეა საუბარი, რაც შეეხება „იმპაქტს“ 0.3; 0.4; 1.2; 1.26, რომ იყოს ეს მაინც „იმპაქტია“, ეს არის ისეთი ხარისხი, რომელსაც მსოფლიოში ძალიან ბევრი ჟურნალი ვერ მიაღწევს, ამიტომ იმის მტკიცება, რომ დოქტორანტმა გამოაქვეყნოს მაღალი ინდექსის მქონე ჟურნალში არ არის მიზანშეწონილი.

ბატონი დიმიტრი ეთანხმება ქალბატონ მაიას ბოლო ნაწილში, რომლის თანახმადაც მაღალრეიტინგულ და „მაღალიმფაქტ-ფაქტორიან“ ჟურნალში, ჯერ ერთი შეფასებითი მომენტია და დოქტორანტებს რამდენად შეუძლიათ გამოქვეყნება ცალკე საკითხია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სრულიად ეთანხმება ბატონი პაატას კომენტარს, რადგან იყო რეკომენდაცია სიის გაკეთებასთან დაკავშირებით შესაძლებელია ინსტიტუციასა და ფაკულტეტს ეთქვათ, რომ ვერ ხედავენ სიის აუცილებლობას და უარი განეცხადებინათ ამ რეკომენდაციის შესრულებაზე, თუმცა ისევ სტუდენტების მხარდაჭერისათვის ეს სარეკომენდაციო სია არსებობს, რაც რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ამ სტუდენტების მიერ სხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებასა და შესაბამისად ფაკულტეტის მიერ ამ პუბლიკაციების აღიარებას, რაც შეეხება რეკომენდაციის შესრულება/არ შესრულებას, რეკომენდაცია შესრულდა და პროგრამის გაუმჯობესება და რეგულაციების გაუმჯობესება მუდმივი პროცესია.

ირაკლი კოვზანაძემ დააზუსტა, რომ ფაკულტეტის საბჭოს ამონაწერში წერია „სამეცნიერო ჟურნალების საორიენტაციო ჩამონათვალი“, რაც არ გულისხმობს, რომ სტატია აუცილებლად ამ

ჟურნალებში უნდა გამოაქვეყნონ, მისი თქმით, როგორც მისცეს რეკომენდაცია საორიენტაციო ჩამონათვალი გაეკეთებინათ, გააკეთეს და ყველა ჟურნალს მითითებული აქვს რომელ ბაზებში არის ინდექსირებული.

დიმიტრი გეგენავამ დააზუსტა, რომ კრიტერიუმთან დაკავშირებულ კითხვას, რომ გაეცეს პასუხი, მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ კრიტერიუმი, რომლითაც დალაგდა ეს სია არის ჟურნალები, რომლებშიც ქართველი პროფესორები ან დოქტორანტები მეტნაკლებად ხშირად აქვეყნებენ სტატიებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:49

დასრულების დრო: 17:06

ხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

4. მეოთხე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 31 იანვრის N23 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ინგლისური

10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამის პირვანდელ აკრედიტაციაზეც იყო და პროგრამას დიდიხანია იცნობს, შესაბამისად ის მიგნებები, რომლებიც გეგმიური მონიტორინგის თვალსაზრისით გამოვლინდა და ის ორი ძირითადი პრობლემა, რომელიც მათ მიერ თავის დროზე იყო შემოთავაზებული, არის ინგლისურენოვანი პროგრამის აბიტურიენტებისთვის ინგლისური ენის ცოდნის დონის B1-ის განსაზღვრა. მათ მიიჩნიეს, რომ აღნიშნული იქნებოდა არარელევანტური და მათ მიერ განისაზღვრა B2 დონე. როგორც ჩანს ეს რეკომენდაცია უნივერსიტეტმა მხედველობაში მიიღო და ამ დოკუმენტაციაში ასახულია ეს ცვლილება, ასევე მათ შესთავაზეს სწავლების ფორმის ცვლილება, სპეციფიური არქიტექტურისთვის ე.წ. სტუდიური სწავლება და ამასთან დაკავშირებით პრაქტიკულად სრულყოფილად იყო მასალა წარმოდგენილი და არ დასჭირდათ დამატებითი მასალის გამოთხოვა ან შეკითხვების დასმა. აღნიშნავს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იყო ასევე დარგობრივი კომისიის ექსპერტი, როდესაც არქიტექტურის დარგობრივი სტანდარტი მუშავდებოდა, რომელიც რეკომენდაციის სახით მომავალში კიდევ უფრო მძლავრად შევა ძალაში, ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს რეკომენდაციები, მათ მხოლოდ რჩევები აქვთ:

- ზოგადად პროგრამის შედეგების ჩამონათვალი საკმაოდ ქაოტურია, თუმცა შეესაბამება აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ პროგრამასა და მის სილაბუსებს. სასურველია უფრო მკაფიოდ იყოს მორგებული ეს კომპონენტები პროგრამის მიზნებზე, რათა აბიტურიენტებმა განსაზღვრონ საკუთარი შესაძლებლობები, ხოლო დამსაქმებლებმა კი - სწორად შეარჩიონ კადრი კურსდამთავრებულთა შორის.
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად, ფართო სფერო ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის - 07, ვიწრო სფერო არქიტექტურა და მშენებლობის - 073, დეტალური სფერო არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარების - 0731 ქვეშ განიხილება, ვურჩევთ პროგრამის განმახორციელებლებს სამომავლოდ იზრუნონ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სტანდარტის ცვლილებების შესატყვისად.
- სასურველია სპეციალობის კურსებს დაემატოს არჩევითი დისციპლინები: არქიტექტურული ფოტოგრაფია ან/და პლასტიკა, სწორედ იმ სპეციფიკის გზით რაც არქიტექტურას ახასიათებს სივრცით უნარების გავარჯიშების გამო. ფოტოგრაფია დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია, მითუმტეს ვირტუალურ სივრცეში ვიზუალურად წარმოდგენისთვის ცხადია ერთ-ერთი ყველაზე კარგი უნარი იქნება რომელსაც კურსდამთავრებულებს შესთავაზებს პროგრამა.

ექსპერტი ამბობს, რომ პირველი აკრედიტაციისთვის პროგრამას საერთოდ არ ჰყავდა სტუდენტი, რადგან ახალი იყო, ახლა კი არ ჰყავს კურსდამთავრებული და ამიტომ შედეგებზე

ის რაც რჩევაში განიხილა იმსჯელებენ მას შემდეგ, რაც პროგრამას ეყოლება კურსდამთავრებულები, თუმცა ამ მიმართულების სტუდენტებთან შედგა გასაუბრება და საკმაოდ მაღალი შთაბეჭდილება დატოვებს მოტივაციისა და ენის თვალსაზრისით. აღსანიშნავია ისიც, რომ III სტანდარტი საერთოდ არ განხილულა, მათ საუკეთესო მიგნებად ქართული ენის სწავლა აღნიშნეს, მისი აზრით ეს არის ერთ-ერთ ყველაზე კარგი რამ, რასაც უნივერსიტეტი განახორციელებს ქვეყნის პოპულარიზაციისათვის და ასევე პატრიოტული საქმეცაა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით რჩევები გასაგებია, დაწესებულება აპირებს, რომ სფეროების კლასიფიკატორთან ყველა პროგრამა მოვიდეს შესაბამისობაში, რაც შეეხება სწავლის შედეგებს დაკვირვებისა და მონიტორინგის პარალელურად განხორციელდება ფორმულირება ამ მიმართულებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა წარუდგინა მონიტორინგის წარმომადგენლობას მათი მიღწევები, რა გააკეთეს და როგორ გაითვალისწინეს აკრედიტაციის პერიოდში გაცემული რეკომენდაციები, მისი შეფასებით პროცესი მიდის კარგად, სტუდენტების შედეგებიდან და უკუკავშირებიდან მიიღეს, რომ მათ კარგი შედეგები აქვთ, პირველად ქართული არქიტექტურის ისტორიაში ხდება, რომ სწავლება მიდის ინგლისურ ენაზე არსებულ საბაკალავრო პროგრამაზე, მისი თქმით პროგრამა მუშაობს და სტუდენტებიც დაინტერესებულნი არიან, ადმინისტრაცია ყოველდღიურად იღებს წერილებს, რომ სტუდენტებს სურთ მათთან გადასვლა, მათ შორის საზღვარგარეთიდანაც, რაც აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ პროგრამა მუშაობს, თუმცა ისინი აქ არ აპირებენ გაჩერებას. ბატონი გიორგი აღნიშნავს, რომ თვითონ იყო დარგობრივი კომისიის წევრი და შეიმუშავეს არქიტექტურული პროგრამებისთვის მოთხოვნები, ბუნებრივია უფრო გაამკაცრეს, მეტი პროფესიული საათი უნდა დაეთმოს სწავლებას და საგნებიც უნდა იყოს უფრო მეტი, რასაც შემდეგი აკრედიტაციის პერიოდში უკვე წარადგენენ. მისი თქმით, მაქსიმალურად ითვალისწინებს ექსპერტების რეკომენდაციებს, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უკვე გამოიყო ფართი ახალი სტუდიისთვის და როდესაც ხატვისა და გრაფიკის შემოქმედებითი კომპონენტი გაიზრდება შემდეგში განახლებული პროგრამის გათვალისწინებით ჩაერთვებიან მაქსიმალურად, შესაბამისად პროცესი გრძელდება და მისი აზრით ნორმალურად მიდის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს პროცენტულად როგორია ქართველი და უცხოელი სტუდენტების განაწილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ქართველი და უცხოელი სტუდენტების განაწილება 60%-40%-ზეა, უცხოელების სასარგებლოდ.

საბჭოს წევრი დაინტერესდა საზღვრების ჩაკეტვის გამო ხომ არ ექნებათ სტუდენტების პრობლემა პირველ კურსზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულები საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებას ცოტახნის წინ გადაუგზავნა მხოლოდ 4 „course mapping“, რადგან თხოვდნენ უთხრან რამდენს კრედიტს უღიარებენ, ბევრს სტუდენტს უნდა აღნიშნულ პროგრამაზე მობილობა დუბაიდან და აზიიდან, რაც ნიშნავს, რომ პროცესი იწყება, მათ უნდათ

პროგრამაზე გადასვლა და ჩაბარების პროცედურა ეს დოკუმენტაცია მომზადდა. მისი თქმით, ყოველ კვირა ემატებათ მინიმუმ თითო სტუდენტი, რომლებიც ასეთი განაცხადის სახით მოდიან, მერე იქდან რამდენი დარჩება ეს სხვა საკითხია მაგრამ პროცესი არ შეჩერებულა.

საბჭოს წევრმა დააზუსტა თავისი კითხვა არის თუ არა უნივერსიტეტი მზად, რომ შეიძლება ვერ შეავსოს ბიუჯეტი პირველმა კურსმა და ექნება თუ არა უნივერსიტეტს დაფინანსება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ განათლების სამინისტრომ მოაწოდა ინფორმაცია იმ უნივერსიტეტებს, რომლებიც საზღვარგარეთიდან იღებენ სტუდენტებს, ანუ ნებისმიერი ჩამომსვლელი სტუდენტი ინფორმირებული უნდა იყოს, რომ როდესაც ჩამოვა უნდა დაიცვას რეკომენდაციები და უნდა გაიაროს 2 კვირიანი კარანტინი თავისი ხარჯებით და ამის შემდეგ იქნება მზაობა ამ სტუდენტების ჩარიცხვისთვის.

საბჭოს წევრმა დააზუსტა სწორად ესმის თუ არა, რომ თუ ის ქვეყანა ჩაკეტილი იქნება დაიშვება გამონაკლისი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თუ ისინი წარმოადგენენ საკუთარ ჯანმრთელობის ცნობას საზღვრის კვეთისას, ჩამოვლენ და არ დაუდატურდებთ ვირუსი, მათზე გაცემული იქნება მგზავრობის უფლება, ისინი ჩამოვლენ თბილისში. ასევე ქართველ სტუდენტებს, რომლებიც უცხოეთში არიან, ბევრს უნდა უკან ჩამოსვლა და უცხოენოვან პროგრამაზე სწავლა და შესაძლებელია საკმაოდ ბევრი ქართველი სტუდენტიც დაბრუნდეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:23

დასრულების დრო: 17:40

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგში განხორციელდა ცვლილება. კერძოდ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი განიხილეს რიგით მეხუთე საკითხად და მეხუთე საკითხი მეექვსედ.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამსახიობო ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 8 ოქტომბრის N188 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ზ. გორგილაძე/ვაჟა ფშაველა 19/32
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ 2019 წლის აგვისტოში იმყოფებოდნენ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში, 2019 წლის 8 ოქტომბერს შედგა საბჭოს სხდომა და პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, აკრედიტაციის შედეგად მას დაევალა 6 თვის ვადაში ანგარიშის წარდგენა და მის მიერ წარმოდგენილია ამ ანგარიშის დასკვნა.

ექსპერტი აღნიშნავს, რომ 6 თვის ვადაში რამდენიმე რეკომენდაციის შესრულება შეუძლებელი იყო, მაგ., (1) შემოქმედებითი ტურის უწყისებთან და (2) საკვალიფიკაციო ნაშრომების უწყისებთან დაკავშირებით, რადგან ოქტომბრიდან აპრილამდე არ იყო დასრულებული სასწავლო კურსი და დაწესებულება ვერ წარმოადგენდა შესაბამის, დამადასტურებელ უწყისს, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა ამ უწყისის ფორმა, რომელშიც გათვალისწინებულია

ექსპერტების რეკომენდაცია და შეიძლება ითქვას, რომ ეს რეკომენდაცია შესრულებულია. ექსპერტი აღნიშნავს, რომ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი გათვალისწინებულია, თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილია ელექტრონული სასწავლო სისტემის (ini.ge) „სქრინშოტი“, რაც ადასტურებს დაწესებულებაში ამ სისტემის დანერგვას. მესამე რეკომენდაციაც შესრულებულია, რადგან ის ბმავს მეორე რეკომენდაციასთან, ელექტრონული სასწავლო სისტემა სასწავლო კურსების დიფერენცირებული სწავლის შედეგების ფიქსირებისა და მონიტორინგის ფართო საშუალებებს იძლევა. შესაბამისად, მისი აზრით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უნივერსიტეტმა ეს რეკომენდაცია შეასრულა. თუმცა, რაიმე სახის დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია და შემოიფარგლა მხოლოდ ანგარიშის ნარატიული აღწერით. მეხუთე რეკომენდაციის შესრულება უნივერსიტეტმა დაადასტურა ბხსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით და Erasmus+ საგრანტო დაფინანსების მოპოვებით, რაც შესაძლებლობას აძლევს აკადემიურ პერსონალს ჩაერთოს საერთაშორისო პროექტებში. მეექვსე რეკომენდაციის შესრულება დასტურდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (N0407). მეშვიდე რეკომენდაცია უნივერსიტეტმა არ გაიზიარა და ამ კონკრეტული პროგრამის ბიუჯეტის შემუშავება არ ჩათვალა მიზანშეწონილად, რადგან პროგრამას აქვს ფინანსური უზრუნველყოფა და მდგრადობა უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტის ფარგლებში. მერვე რეკომენდაცია უნივერსიტეტმა გაიზიარა და ანგარიშის ტექსტუალურ ნაწილში ყველა პროგრამის გარე შეფასების აუცილებლობაზე ისაუბრა, რაც უნივერსიტეტის სამომავლო გეგმებში მოიაზრება. რაც შეეხება რჩევებს, მათი ნაწილი შესრულდა ნაწილი არა. ქალბატონი ანა, როგორც ექსპერტი თვლის, რომ რეკომენდაციების ნაწილი შესრულებულია და უფრო მეტი დადასტურება შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს მხოლოდ სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, ან ახალი შემოქმედებით ტურის ჩატარების შემდეგ.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

უნივერსიტეტის წარმომადგენელი ამბობს, რომ მათ არ გაითვალისწინეს მხოლოდ პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით რეკომენდაცია, რადგან ყოველი წლის ბოლოს ადგენენ მომავალი წლის ბიუჯეტს, უნივერსიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტში პროგრამის ყველა საჭიროება გათვალისწინებული, ამდენად ცალკე აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტს არ ადგენენ.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის აზრით მათთვის ამას უფრო დიდი სარგებელი მოაქვს, რადგან ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ბიუჯეტი 5000 ლარით მეტიც კი იყოს და ამიტომ ამ შემთხვევაში ურჩევნიათ დაფინანსება ყოველწლიურად, ბიუჯეტს განსაზღვრავენ სამუშაო გეგმის დატვირთვების ჯამით და ეს მტკიცდება წინასწარ, ანუ ფიქსირებული ბიუჯეტი უფრო არ არის ხელსაყრელი, ვიდრე ის, რომ ბიუჯეტი ყოველწლიურად მტკიცდებოდეს და გარანტიას, რომ პროგრამას ყოველთვის ექნება ბიუჯეტი ასეთ დაფინანსებაში ხედავენ.

ექსპერტმა განმარტა, რომ ეს პუნქტი ჩადებული იყო რეკომენდაციებში, რადგან სახელმწიფო პოლიტიკა სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით ხშირად იცვლება, როდესაც მთლიანად სისტემა მთლიანად გადავა პროგრამულ დაფინანსებაზე თავისთავად მოუწევთ ცალკეული პროგრამების განფასების შედგენა, ამიტომ ეს იყო პერსპექტივაზე გათვლილი რეკომენდაცია და ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ სწორი იქნებოდა ასეთი ტიპის მიდგომა, ქალბატონი ანა აღნიშნავს, რომ თავად წარმოადგენს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს და მსგავსი პრობლემები მათაც აქვთ და მოუწიათ თითოეული პროგრამისთვის ცალკე ბიუჯეტის შექმნა, ანუ კონკრეტული პროგრამის განფასების თვალსაზრისით და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი,

თუმცა ვინაიდან ამ ეტაპზე დაწესებულება ამბობს, რომ პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილია და ეს უზრუნველყოფა დევს საერთო ბიუჯეტში, ამ შემთხვევაში პრინციპული პოზიცია ექსპერტებსაც არ გვაქვს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:50

დასრულების დრო: 17:52

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამსახიობო ხელოვნების“ (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამსახიობო ხელოვნების“ (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 07 ნოემბრის N196 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ქუთაისი, 4600, თამარ მეფის ქუჩა N59, სასწავლო კორპუსი N1,N2
12		

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - ეკა ეკალაძემ

თვითაცილების საფუძველი: ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა განიხილა მის მიერ მომზადებული დასკვნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ, საბჭომ პროგრამას მიანიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია, თუმცა 6 თვის ვადაში დაწესებულებას უნდა წარმოედგინა ანგარიში, ექსპერტი ამბობს, რომ მან შეისწავლა როგორ გაითვალისწინა დაწესებულებამ რეკომენდაციები და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი გათვალისწინებულია, ერთადერთი რეკომენდაცია სილაბუსებთან დაკავშირებით - „უსდ-მ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება“, ექსპერტის თქმით მაშინაც ხვდებოდნენ გაურკვეველი სწავლა-სწავლების მეთოდები იყო მითითებული და ახლაც არის ისეთი მეთოდები, რომლებსაც არც ეს ბრძანება და არც ევროპული სტანდარტები არ ითვალისწინებს. ექსპერტი ასევე აღნიშნავს, რომ დაწესებულებამ ექსპერტების მიერ მომზადებული თითქმის ყველა რჩევა გაითვალისწინა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს სილაბუსის ფორმა, რომელიც ცალკე პუნქტად ითვალისწინებს სწავლა-სწავლების ფორმას და ცალკე სწავლა-სწავლების მეთოდებს, ამიტომ არის ყველა სილაბუსში ცალ-ცალკე ასახული, რომ პროგრამას არ დაერღვია უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული სილაბუსის ფორმა, მომავალში უნივერსიტეტის ხარისხთან ერთად დაგეგმილი აქვთ, რომ სილაბუსის ფორმაშიც შეიტანონ ცვლილება და მესამე ბრძანებას მოარგონ ის.

ქალბატონი თეა დაწესებულებისთვის მეტად თვალსაჩინოს ხდის რეკომენდაციას, ამბობს, რომ სწავლა-სწავლების ჩამონათვალი მაგ., მითითებულია საკონტროლო კითხვები და ა.შ. ამას უნდა მიაქციონ ყურადღება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:59

დასრულების დრო: 18:09

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს წევრებმა ნიკა კვიციანი და პაატა ბრეკაშვილმა დატოვეს სხდომა.

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცხოველეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 5 მარტის N55 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	მეცხოველეობის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი, 0192, დ. გურამიშვილის გამზირი N17, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტი, მე - 11 კორპუსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - დიმიტრი გეგენავამ

სხდომის თავმჯდომარედ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე განისაზღვრა თამარ ტუფინაშვილი.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა განმარტა, რომ მხოლოდ 1-ლი სტანდარტი იყო შესაბამისი მოთხოვნებთან, დანარჩენი 4 მეტწილად შესაბამისი იყო.

ექპერტი აღნიშნავს, რომ მიცემული 16 რეკომენდაციიდან: 2 შესრულდა, 8 არ შესრულდა, 3 ნაწილობრივ შესრულდა, 3-ის შესრულება-არ შესრულება ბუნდოვანია, ასევე მიცემული 10 რჩევიდან, რომელთა შესრულება სავალდებულო არ არის, არცერთი მათგანი არ შესრულდა ყოველ შემთხვევაში მათ შესახებ ანგარიშში ინფორმაცია არ იყო წარმოდგენილი.

ექსპერტმა განიხილა თითოეული რეკომენდაცია ცალ-ცალკე:

1. „სრულყოფილ იქნას პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და დარგობრივი კომპეტენციების ფორმულირებები. პროგრამის და სასწავლო კურსების შედეგების ფორმულირება უნდა იყოს ისეთი, რომ პროგრამის შედეგები იყოს გამჭვირვალე, დაკვირვებადი, შეფასებადი და გაზომვადი“ არასწორად არის შესრულებული, პროგრამაში გაწერილია 3 მიზანი და 9 შედეგი, პროგრამის მიზნები და შედეგები უნდა მიესადაგებოდეს დარგის სპეციფიკას, პირველი 2 მიზანი რაც გაწერილია იმდენად ზოგადია, რომ ნებისმიერ პროგრამას შეიძლება მოერგოს, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგებიდან 3 არ ასახავს პროგრამის დარგობრივ შინაარსს,

I შედეგი: განსაზღვრავს მსოფლიო სურსათის საკითხებს, მეცხოველეობის დარგის მნიშვნელობას რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრაქტიკული პრინციპების ერთობლიობას;

V შედეგი: აღწერს ცხოველთა ანატომიას, ფიზიოლოგიას. ცხოველური წარმოშობის პირველად პროდუქტებში აღწერს მიკრობიოლოგიურ პროცესებს;

IX შედეგი: იყენებს კომუნიკაციისთვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

ექსპერტის აზრით, ეს შედეგები არ არის იმ ფორმით გაწერილი რომ იყოს დაკვირვებადი, შეფასებადი და გაზომვადი, ამავდროულად ამ შინაარსით ის არ წარმოადგენს რეალურად რა მიზანიც უნდა ქონდეს ამ სასწავლო პროგრამის გავლას, ანუ არ შეესაბამება დარგის სპეციფიკას, დანარჩენი 6 შედეგი (II, III, IV, VI, VII, VIII) საჭიროებს დახვეწას და ისეთ ფორმულირებას, რომ იყოს დაკვირვებადი, შეფასებადი და გაზომვადი, ასევე ექსპერტის ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ყველა მიზანი ერთდროულად ყველა შედეგზე გადის, თუმცა ყველა მიზანი ყველა შედეგზე ფოკუსირებული ვერ იქნება;

1. „პროგრამის განვითარების პროცესში აუცილებელია კურსის და პროგრამის შედეგების სწორი შედგენა, ისე, რომ კურიკულუმის რუკა იძლეოდეს კურსის შინაარსის მართვის საშუალებას, შედეგებსა და შეფასებას შორის გამჭვირვალე ურთიერთკავშირის გამოვლენით“ რეკომენდაცია არასწორად არის შესრულებული, რადგან სწავლის შედეგები არასწორად არის ჩამოყალიბებული და ფორმულირებული აქედან გამომდინარე კომპეტენციის რუკაც არასწორია, მრავალი საგანი ერთდროულად და ერთი სიმტკიცით გადის ყველა შედეგზე, ეს არის წარმოუდგენელი იშვიათი გამონაკლისების გარდა, ასეთ ვითარებაში შესაძლებელია ვისაუბროთ რუკის მექანიკურ შევსებაზე ან შედეგების არასრულფასოვან ფორმულირებაზე, ასევე სწავლის შედეგების მიღწევა უნდა ფასდებოდეს კონკრეტულ მაპროფილებელ საგნებში სწავლების კონკრეტულ შედეგზე გამავალი პრაქტიკული გამოცდების ორგანიზებით, რაც ანგარიშში არ არის ასახული. ანგარიშში საუბარია სწავლების შედეგების პერიოდულ შეფასებაზე. თუმცა, აზრს კარგავს სწავლის შედეგების პერიოდულ შეფასებაზე ნებისმიერი საუბარი, როდესაც სწავლის შედეგები არასწორედაა განსაზღვრული, შედგენილი და ფორმულირებული;
2. „სხვადასხვა სილაბუსებში აღმოიფხვრას თემების გადაფარვა“ - აღნიშნული რეკომენდაცია გარკვეულწილად გათვალისწინებულია, თუმცა წარმოდგენილ სილაბუსებში კვლავ აღინიშნება თემატიკების გადაფარვა. თვალში გვხვდება გადაფარვები შემდეგი საგნების სილაბუსებში;
3. „გაუმჯობესდეს სილაბუსის გაფორმების მექანიზმები (შესაბამისი სახელმძღვანელოს, თემატიკის შესაბამისი თავების და გვერდების მითითება). სასწავლო კურსების სილაბუსებში საკითხების და ძირითადი ლიტერატურის დუბლირების თავიდან ასარიდებლად სილაბუსებში მითითებულ იქნას შესაბამისი გვერდები“ - რეკომენდაცია არ არის შესრულებული, სილაბუსებში ვხვდებით სწავლების მეთოდების დუბლირებას, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ საგნებში ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება არ ფიქსირდება. შეფასების სისტემა ყველა წარმოდგენილ სილაბუსში იდენტურია. სილაბუსებში არ არის სალექციო-სასემინარო თემატიკებთან ლიტერატურის შესაბამისი თავები და გვერდები მითითებული. სხვადასხვა სილაბუსებში აღინიშნება შეუსაბამო ძირითადი ლიტერატურა და მითითებული ლიტერატურების დუბლირება. თითქმის 20 მდე სილაბუსში ფიქსირდება მითითებული ლიტერატურული წყაროების იდენტურობა. ნათლად ჩანს, რომ სხვადასხვა მაპროფილებელი საგნების სილაბუსებში არის მითითებული ლიტერატურის ფართო გადაფარვა, მექანიკურად არის მითითებული ერთი და იგივე ლიტერატურა. ზოგიერთ შემთხვევაში ცალსახად ჩანს ისიც, რომ საგანი და მასში მითითებული ლიტერატურის წყარო თავიანთი შინაარსით საკმაოდ შორსაა ერთმანეთისგან (მიაქციეს ყურადღება გაწითლებული საგნებს). ზოგიერთ საგანში საერთოდ არ არის მითითებული შესაბამისი, რელევანტური ლიტერატურა. შესაბამისი ლიტერატურის მაგივრად მექანიკურად არის მითითებული სრულიად განსხვავებული შინაარსის სახელმძღვანელოების. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურის სახით მრავლად არის მითითებული ინტერნეტ პოპულარული რესურსები, რომელთა ვალიდურობაზე მტკიცება ძნელია და აკადემიურ წყაროდ მათი გამოსადეგობა ხშირად ნდობას არ იწვევს. აღნიშნული სიტუაცია, საფუძვლიან ეჭვს აჩენს, იმის შესახებ, რომ (თუ ძირითადად 8 სახელმძღვანელო ტრიალებს 22-მდე საგნის სილაბუსში) საგნების შინაარსები შესაძლოა „გაბერილია“;
4. „კურსის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს შეფასების მეთოდებს; სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის სპეციფიკასთან“ - რეკომენდაცია არ არის შესრულებული, (აღნიშნული რეკომენდაცია მსგავსია 2.3 კომპონენტში წარმოდგენილი რეკომენდაციის, ამიტომ შეფასებაში განვმეორდებით). სილაბუსებში ვხვდებით სწავლების მეთოდების დუბლირებას, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ საგნებში ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება არ ფიქსირდება. სილაბუსებში არ არის სალექციო-სასემინარო თემატიკებთან ლიტერატურის

შესაბამისი თავები და გვერდები მითითებული. სხვადასხვა სილაბუსებში აღინიშნება შეუსაბამო ძირითადი ლიტერატურა და მითითებული ლიტერატურების დუბლირება;

5. „პროგრამაში დაემატოს ანალიზური ქიმიის და ბიოქიმიის შინაარსის ამსახველი საგნები“ - რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში საუბარია, რომ ანალიზური ქიმიის საკითხები ისწავლება ზოგად ქიმიაში, ხოლო ბიოქიმიის შინაარსის ამსახველი საკითხები ისწავლება საგანში - სტრუქტურები და რეაქციები ბიოქიმიურ პროცესებში. შესაბამისი სილაბუსების გაცნობის საფუძველზე ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი ქიმიის სილაბუსში არ არის შეტანილი ანალიზური ქიმიის საკითხები (ამისათვის თავისუფალი ადგილი არც არის ზოგადი ქიმიის სილაბუსში). რაც შეეხება ბიოქიმიის თემატიკების ასახვას საგანში - „სტრუქტურები და რეაქციები ბიოქიმიურ პროცესებში“, ეს ნაწილობრივად არის შესრულებული (შეტანილია ბიოქიმიის 3-4 თემა). თუმცა, არ არის ასახული ისეთი მნიშვნელოვანი ბიოქიმიური და მოლეკულურ ბიოლოგიური პროცესები, როგორცაა მატრიცული რეაქციები: რეპლიკაცია, ტრანსკრიპცია, ტრანსლაცია, ასევე ლიპიდური ცვლა და სხვა.;
6. „ანატომიის საგნის სწავლება წარმართოს 2 სემესტრის განმავლობაში“ რეკომენდაცია არ არის შესრულებული, ანატომიის საგნის სწავლება მიმდინარეობს 1 სემესტრად. დაწესებულების წარმოდგენილ ანგარიშში საუბარია იმაზე, რომ ანატომიის დანარჩენი თემები ფიზიოლოგიის კურსის ფარგლებში განიხილება. ფიზიოლოგიის სილაბუსში კი განხილულია ფიზიოლოგიის თემატიკები, სადაც ანატომიის თემების განსახილველად თავისუფალი ადგილი არც არის და ეს ფაქტი სილაბუსის შინაარსით არ დასტურდება;
7. „საგნების სწავლის წინაპირობად მითითებულ იქნას ის საგანი ან საგნები, რომელთა ცოდნა ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი დისციპლინის ასათვისებლად.“ რეკომენდაცია შესრულდა;
8. „გასწორდეს და დაიხვეწოს პრერეკვიზიტების რუკა. საგნების სილაბუსებსა და პრერეკვიზიტების რუკაში მოცემული წინაპირობები (პრერეკვიზიტები) მოყვანილ იქნას ურთიერთშესაბამისობაში (რაც მოცემულია სილაბუსში, ზუსტად ის იყოს შეტანილი პრერეკვიზიტების რუკაში).“ - რეკომენდაცია შესრულდა;
9. „სასწავლო კურსების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნას საგნის სპეციფიკა.“ რეკომენდაცია არ არის შესრულებული, სასწავლო კურსების სილაბუსებში კვლავაც იგივე ხარვეზებია, კერძოდ წარმოდგენიულ სილაბუსებში დუბლირებულია შეფასების სისტემა (შუალედური აქტივობის შეფასება 30 ქულა, შუალედური გამოცდა 30 ქულა, ფინალური გამოცდა 40 ქულა), მინიმალური კომპეტენციის ზღვრები (შუალედური აქტივობის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 15, შუალედური გამოცდის - 7,5, ფინალური გამოცდის კი - 15 ქულა). პროგრამის დანარჩენი სილაბუსები ანგარიშში წარმოდგენილი არ არის, რაც მათი გადახედვის შესაძლებლობას არ იძლევა;
10. „შესაბამის დისციპლინებში უზრუნველყოფილ იქნას პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმები დახვეწა და მიღებული უნარების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასება.“ - დაწესებულების ანგარიშში არ ჩანს ამ რეკომენდაციის შესრულების ფაქტი. კურიკულუმსა და სილაბუსებში არ ჩანს პრაქტიკული გამოცდების არსებობა;
11. „პროგრამის მდგრადობის/ სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გაუმჯობესდეს ინსტიტუციური მექანიზმები მაპროფილებელი საგნების მოწვეული პერსონალის შესანარჩუნებლად. მაგალითად, მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფილ იქნას დატვირთვის ადეკვატური ანაზღაურებით ან/ და მაპროფილებელი საგნების პედაგოგები კონკურსის წესით მიღებულ იქნას აკადემიურ თანამდებობაზე.“ - აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა, დაწესებულების ანგარიშში ნათქვამია, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს რესტრუქტურისაცია და იმედს გვაძლევენ, რომ

მომავალში შეასრულებენ მოცემულ რეკომენდაციას. პროგრამის ხელმძღვანელი კვლავაც არ არის პროფესორის შტატში აყვანილი და მოწვეული პედაგოგის (მოწვეული პროფესორი) სტატუსი აქვს. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ პროგრამის ხელმძღვანელი გადაჭარბებულად არის დაკავებული: 10 საგანს (ეს საგნებია: მეცხოველეობის საფუძვლები, სახორცე მეცხოველეობა, სახორცე მეცხოველეობა, სამრეწველო მეცხოველეობის მიმოხილვა, მეფრინველეობა, ლაქტაციის ბიოლოგია, ცხოველებთან მუშაობა, მეცხოველეობის დარგში კარიერის დაგეგმვა და ორიენტირება, ადამიანის კვების საფუძვლები, მსოფლიო სურსათის საკითხები) ასწავლის, რაც მოწვეული პედაგოგის სტატუსის გამო, არასტაბილური ანაზღაურებით არის გამოწვეული. არსებული დატვირთვის პირობებში, შეიძლება მას არ ეყოს დრო, პროგრამის ხარისხიანი მართვისა და განვითარებაზე ზრუნვისათვის. ანგარიშში არ ჩანს, რომ რომელიმე მაპროფილებელი საგნის ლექტორი აირჩიეს პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, რაც პროგრამის სტაბილობას დიდ საფრთხეს უქმნის;

12. „მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეივსოს ცხოველების სამოდელო მულაჟებით, ჩონჩხით, ორგანოების სველი პრეპარატებით, სპეციალური ინსტრუმენტებით და ა.შ.“ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებული არ არის - დაწესებულების ანგარიშში წერია, რომ მიკროსკოპის და ცხვრის საპარსი აპარატების შესაძენად გამოცხადდა ტენდერი, რომელიც არ შედგა. რეკომენდაციაში ექსპერტებს მითითებული ქონდათ, რომ სასწავლო პროცესის გასამართად აუცილებელი იყო ცხოველების სამოდელო მულაჟების, ჩონჩხის, ცხველების ორგანოების სველი პრეპარატების და სპეციალური ინსტრუმენტების (ხელოვნური დათესვლის აპარატის, ამზომი მოწყობილობების და სხვ.) შეძენა. მათ შესაძენად (რაზეც გაცემული იყო რეკომენდაცია) დაწესებულებას ტენდერი არ გამოუცხადებია;
13. „შენობის ტერიტორიაზე სასადილოს მოწყობა სტუდენტებისა და პერსონალისათვის.“

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვერ დგინდება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება, შენობის ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სასადილო. ანგარიშში მოცემულია, რომ ტერიტორიაზე არსებობს მოძრავი ტიპის სასადილო. თუმცა ამისი არანაირი ოფიციალური მტკიცებულება წარმოდგენილი არაა. ანგარიშში მოცემულია, რომ დაწესებულებიდან 70 მეტრში არსებობს კვების ობიექტი. მტკიცებულებად წარმოდგენილია პატარა ბუტკის ფოტოსურათი, რომელსაც გვერდებზე მიმაგრებული აქვს ჩაფუშული საბურავები. არანაირი ოფიციალური მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი, რომ სურათზე ასახული ე.წ. „ბუტკა“, რეალურად კვების ობიექტს წარმოადგენს. დამატებით დოკუმენტად დაწესებულებამ წარმოდგინა ხელშეკრულება ფაკულტეტის ტერიტორიაზე 10 მ² ფართობის იჯარის შესახებ ი.მ. ჯიმი ჩხეიძესთან ხელშეკრულება გაფორმებულია 10.03.2020 რიცხვში (2017 წლიდან იგივე ფართობი იჯარით გაცემული იყო შპს უნივერსის დირექტორ - ლილი ქარსალაძეზე). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტში არ ჩანს იჯარით ფართის გაცემის დანიშნულება. არ ჩანს გაქირავებული ფართი ნამდვილად კვების ობიექტად გამოიყენება თუ არა;

1. „აღმოიფხვრას შეცდომები და ხარვეზები თვითშეფასების ანგარიშში, პროგრამაში, სასწავლო კურსების სილაბუსებში და სხვა თანდართულ დოკუმენტებში. მომზადდეს ყველა ის აუცილებელი დოკუმენტი, რაც აუცილებელია სტანდარტის თანახმად და არაა წარმოდგენილი აკრედიტაციის პროცესში.“ რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული. სასწავლო კურსის სილაბუსებში და თანდართულ დოკუმენტებში (კომპეტენციის რუკაში, მიზნებისა და შედეგების რუკაში) კვლავაც ვხვდებით ხარვეზებს. პროგრამის სწავლების მიზნები და შედეგები არასწორადაა ფორმულირებული, რაც არ იძლევა მისი შეფასების და გაზომვის შესაძლებლობას. სილაბუსებში აღინიშნება შემდეგი ხარვეზები: შეფასების სისტემა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრების მნიშვნელობები ყველა წარმოდგენილ სილაბუსში დუბლირებულია, სხვადასხვა სილაბუსში აღინიშნება ცალკეული თემის და

მითითებული ლიტერატურის დუბლირება, ასევე სალექციო და სასემინარო თემებზე არ არის მითითებული ლიტერატურა, შესაბამისი თავების და გვერდების დაზუსტებით;

2. „შემუშავდეს მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს უკეთეს კომუნიკაციას უნივერსიტეტის ცენტრალურ და საფაკულტეტო ხარისხის სამსახურებს შორის.“- რეკომენდაციის შესრულების შესახებ მტკიცებულება არ დგინდება წარმოდგენილ დოკუმენტებში.

სხდომაზე აღინშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტების მიერ 1 წლის წინ ერთსულოვნად იქნა განმარტებული, რომ ეს პროგრამა მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, სხვა ანალოგი არ არსებობს და მან აუცილებლად უნდა იარსებოს, განაგრძოს განვითარება/დახვეწა, რისთვისაც აუცილებელი იყო რეკომენდაციების შესრულება, მათ პროგრამას საკმაოდ კარგი შეფასება მისცეს, თუმცა დიდი უკმაყოფილება იქნა გამოხატული ფაკულტეტის ხელმძღვანელობისგან, მათ დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ეს ყველაფერი აღმოიფხვრებოდა. ექსპერტი დიდ პატივისცემას გამოვხატავდა აქ დასაქმებული ლექტორების მიმართ, რომელთა გარკვეულ ნაწილს იცნობს და აფასებს, როგორც მაღალი დონის პროფესიონალს და მისთვის ძალიან რთულია ასეთი ანგარიშის წარმოდგენა, რომ ეს ერთი წელი არ იქნა ნაყოფიერად გამოყენებული. მისი თქმით თუ კითხვა დაისმევა ის მოხარული იქნება თუ პროგრამას მიეცემა კიდევ ერთი შანსი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ბატონი გიორგი ქვარცხავა (აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი) მიმართავს საბჭოს წევრებს, რომ მათ არ იციან ის, რაც ბატონმა ბესარიონმა ახსენა ნეგატიური განწყობის შესახებ, თუმცა ეს ასახულია იმ ოქმზე, რომელიც ამ პროგრამის პირველი განხილვისას დაიწერა, ლაპარაკია შემდეგზე: როგორც კი ექსპერტებმა წარმოადგინეს დასკვნა უსდ-მ მიმართა წერილობით ცენტრს, რადგან მათ გაუჩნდათ ეჭვი, რომ მის წინ არსებულ პროგრამაზე, ანუ სანამ იქნებოდა მეცხოველეობის პროგრამის განხილვა მანამდე იყო იმავე ფაკულტეტზე არსებული ერთ-ერთი პროგრამის განხილვა, მიუხედავად იმისა, რომ შევიდნენ სხვა ექსპერტები დასკვნები იყო ერთნაირი და შეუსაბამო პროგრამასთან მიმართებით, უსდ-მ ეს ყველაფერი წარუდგინა ცენტრს და სთხოვეს ამ საქმის გარკვევა გასული წლის 5 მარტს, მაშინ უსდ-ს დაუკავშირდა ცენტრის ხელმძღვანელობა და უთხრა, რომ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად უნდა მიემართათ სხვა უწყებისთვის, მათ აღარ ჩათვალეს საჭიროდ გაეგრძელებინათ ამ მიმართულებით დავა, თუმცა ეს წერილი დღემდე არის ცენტრში, საკმაოდ ვრცელი წერილია და მას ძალიან უკვირს რატომ ხდება, რომ მათ აქვთ პრეტენზია, თანაც ამ პრეტენზიას არანაირი რეაგირება არ მოჰყვება, თუნდაც იმ მხრივ, რომ ისევ იგივე ექსპერტი ხვდება მათთან.

ფაკულტეტის დეკანი მიმოიხილავს მეოთხე სტანდარტს. მეოთხე სტანდარტის პირველი რეკომენდაციაა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ასწავლის 10 საგანს და ძირითადი პრობლემაა, რომ ის არის მოწვეული პროფესორი და მას აქვს განცდა, რომ მისი სახელფასო განაკვეთი იქნება ცოტა, რადგან ის განაკვეთი, რომელზეც არის მოწვეული არ ყოფნის შესავსებად, უსდ-ის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათთან მოწვევა ხდება 4 წლით და ეს არა მოწვეული პედაგოგი, არამედ მოწვეული პროფესორია და პროგრამის ხელმძღვანელი, როგორც კი შეასრულებს იმ დატვირთვას, რასაც ასრულებს პროფესორი ფაკულტეტზე ის აღარ არის დამოკიდებული საათების რაოდენობაზე, თუ პროფესორი მოწვეულია 400 საათზე, თუ ის 400 საათს შეასრულებს, ამაში ეძლევა წლიური ანაზღაურება, მაგ., აღნიშნულ ფაკულტეტზე პროფესორი არის მოწვეული თუ ის არის აკადემიურ შტატში, არ აქვს მნიშვნელობა, რადგან ორივე 4 წლით არის და ხელფასიც ორივე შემთხვევაში ერთნაირია, ამის დემონსტრირება მათ რამდენჯერმე მოახდინეს, მათ შორის სახელფასო უწყისებითაც კი.

ექსპერტი ამბობს, რომ მათ არ წარმოუდგენიათ ასეთი დოკუმენტი, წარმოდგენის შემთხვევაში აისახებოდა დასკვნაზეც.

ბატონი გიორგი პასუხობს, რომ წინა განხილვაზე 2019 წლის მარტში წარმოადგინეს ეს დოკუმენტი და ამის მოტყუების საშუალებას არავინ არ მისცემს, რადგან ეს არის უნივერსიტეტში მიღებული წესი და შეიძლება გადამოწმდეს საიტზეც, სახელფასო ფონდითაც, ქალბატონი მანანა როგორც კი შეასრულებს იმ განსაზღვრულ საათებს, რაც ეკუთვნის ამ შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელს, დანარჩენი საათები მას შეუძლია საერთოდ არ ადოს, ან აიღოს, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, რადგან პროგრამის ხელმძღვანელია და თვითონ განსაზღვრავს იმ 400 თუ 500 საათის ზევით დამატებით რაც იქნება, ეს პირველი ფაქტობრივი შეუსაბამობა, რომ ქალბატონი მანანას ხელფასი არ არის მიზნული საგნების რაოდენობაზე, ბატონ გიორგის თავისი შემთხვევა მოჰყავს მაგალითად, რომ ის გასულია ნახევარ შტატზე და ზოგიერთ შემთხვევაში უგროვდება ხოლმე, ნახევარ შტატზე გაცილებით მეტი, ან დაახლოებით იგივე, წლის განმავლობაში, მაგრამ მისი ხელფასი ისევე როგორც ქალბატონი მანანას ხელფასი გამომდინარეობს ძირითადი კონკურსის ან მოწვეული საათებიდან და ის დანარჩენი საათობრივად უნაზღაურდება, რაც საკმაოდ დაბალია იმისათვის, რომ ამაზე იყოს ადამიანი გამოკიდებული.

ბატონი გიორგის თქმით მეორე რეკომენდაციის შესახებ დაწესებულების ანგარიშში წერია, რომ მიკროსკოპი და ცხვრის საპარსი აპარატების ტენდერზეა ლაპარაკი, ტენდერი, როგორც ბატონ ექსპერტთანაც წერია არ გამოცხადებულა, მიმართავს საბჭოს წევრებს, რომ მათ ყველას აქვს კომპიუტერი და შეუძლიათ ნახონ 2019 წლის 10 სექტემბრის ტენდერი N190004469, ამ ტენდერით გამოცხადებულია კონკურსი ელექტრო საპარსზე ცხვრისთვის, ცხოველების საზომ ჯოხსა და ფარგალზე, ცხიმისა და პროტეინების დასაზომ აღჭურვილობაზე, ციფრული მიკროსკოპზე, ლაბორატორიულ თერმოსტატზე, ოვოსკოპზე, 50 ცალ მულაჟზე, შინაურ ცხოველთა ანატომიურ მოდელებზე, ტენინიანობის მზომზე, ეს იყო ელექტრონული ტენდერი, რომელიც არ შედგა, 10 სექტემბერს გამოცხადდა, ვერ დააკმაყოფილა შემოსულმა მოთხოვნები, ეს ტენდერი ჩაიშალა და გადაიდო, წელს უკვე ვეღარ გამოცხადდა პანდემიის გამო, რაც შეეხება მეოთხე სტანდარტის ბოლო რეკომენდაციას, მატერიალურ რესურსზე, სადაც ლაპარაკია რომ 10 კვ.მ-ში არის გახსნილი სასადილო დაწესებულებიდან 70 მეტრში, ბატონი გიორგი აღნიშნავს, რომ ასეთი მოთხოვნა არცერთ აკრედიტაციის გადაწყვეტილებაში არ წაუკითხავს, მისი აზრით ეს რჩევის ან ავტორიზაციის მოთხოვნის ნაწილია, აკრედიტაციაში კვების ობიექტზე ნაკლებად იწერება, აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ დაწესებულებიდან მოძრავი კვების ობიექტი არა 70 მეტრში, არამედ 10 მეტრშია მათი ფაკულტეტის ეზოში დგას და ის, რომ არ მტკიცდება წარმოდგენილი საბუთებით, ესეც ცოტა უცნაურია 10 კვ.მ ფართი, რომელიც გაცმულია მხოლოდ იმ პირობით, რომ იქ იყოს კვების ობიექტი ეს საბუთებში აღნიშნულია, რაც შეეხება დანარჩენ კვების ობიექტებს, ბატონი გიორგი, როგორც დღეს, ასევე წინა დღეებშიც იყო კვების რამდენიმე ობიექტზე, რომელიც მათი ფაკულტეტის გარშემოა დაახლოებით 140 მეტრში, ეს არის სასადილოს ტიპის ობიექტი, რომელიც რაღა თქმა უნდა ფაკულტეტს არ ეკუთვნის, რაც შეეხება დანარჩენ კვების ობიექტებს ქალაქში ისედაც მრავლად არის და ამისთვის რეკომენდაცია უცნაურია. დეკანი საბჭოს ჯანსაღი მსჯელობისკენ მოუწოდებს და ითხოვს პასუხს კითხვაზე, ვთქვთ ფაკულტეტმა გამოაცხადა ტენდერი კვების ობიექტზე და არ შედგა, ეს რამენაირად ნიშნავს რომ დაწესებულება ვერ ასრულებს შესაბამის სტანდარტებს ?

ბატონი გიორგი განმარტავს, რომ მათ აქვთ არა მარტო ამ პროგრამაში არამედ სხვა პროგრამებშიც დანერგილი პრაქტიკა, რომ შედეგიდან გამომდინარე ისინი ხელოვნურად არ ზრდიან არამაპროფილებელი საგნების ხვედრით წილს, ამ შემთხვევაში, მაგ., მათ ერთ სილაბუსში აქვთ მოქცეული არაორგანული და ზოგადი ქიმია, რადგან იმ კონკრეტულ

პროგრამას არ სჭირდებოდა მეტი ქიმია, ამ შემთხვევაში მას არ მესმის შენიშვნა, და ამ შემთხვევაში კარგი იქნებოდა ასეთი საგნების/თემების დასახელება, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ პროგრამა „მეცხოველეობაზე“ და არა პროგრამა „ვეტერინარიაზე“, ეს რომ იყო ვეტერინარიის კვალიფიკაციის კურსი, მაშინ გასაგებია, ბიოქიმია, სტრუქტურები და ყველაფერი უფრო დიდი დოზით იქნება ჩადებული, რასაც ისედაც აკეთებენ სხვა პროგრამებში, დანარჩენი რა თქმა უნდა, თუ სასწავლო შედეგზე არ მოქმედებს გემოვნების ამბავია და თუ საუბარია, რომ რაღაც უფრო დიდი დოზით უნდა ისწავლებოდეს ბატონ ექსპერტს უნდა მოენიშნა რომელ შედეგზე ვერ გადის პროგრამა.

ქალბატონი მანანა ცინცაძე (პროგრამის ხელმძღვანელი) ამბობს, რომ როგორც საბჭოსთვის ცნობილია „მეცხოველეობის“ პროგრამა საქართველოსთვის წარმოადგენს უნიკალურ საგანმანათლებლო სფეროს, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არამარტო ტექნიკური უნივერსიტეტისთვის, არამედ ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარებისთვის, მეცხოველეობის საბაკალავრო პროგრამა არსებობს 2014 წლიდან, მაგრამ მასზე მუშაობა 2 წლით ადრე დაიწყო, რათა შეექმნათ და წესრიგში მოეყვანათ ეს ყველაფერი, რაც შეიქმნა აშშ-ის აიოვას პროექტის ფარგლებში და სწორედ მათი რეკომენდაციით მოხდა პროგრამის სრულყოფა.

ქალბატონი მანანა აღნიშნავს, რომ ყველა კურსდამთავრებული დასაქმებულია პროფილის მიხედვით, რაც ხაზს უსვამს ფაქტს თუ რამდენად საჭიროა აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა, ასევე ძალიან დიდი მოთხოვნა არის ორი მიმართულებით, (1) მეღოვობის კომპლექსი გერმანია-უკრაინა-საქართველოს მისულები იყვნენ მათთან და რამდენიმე სტუდენტი დასაქმდა, ვინც ამთავრებს იმათზე დაწერილია უკვე ბრძანება და (2) „ბიუ-ბიუს“ მეფრინველეობის ფაბრიკაშიც.

პროგრამის ხელმძღვანელი განიხილავს ექსპერტის მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს და ამბობს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მათ გაითვალისწინეს და რიგი ცვლილებები შეიტანეს პროგრამაში.

მისი თქმით რეკომენდაცია I-ში ბატონი ექსპერტი წერს, რომ არ შესრულდა, თუმცა ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით შეიტანეს ცვლილებები პროგრამის მიზნებსა და შედეგებზე, ჩაატარეს სამუშაოები კომენტარების რედაქტირება სილაბუსებში, და რედაქტირებული სილაბუსებით პროგრამის მიზნების ცვლილება, შედეგების ცვლილება და მისადაგება დარგის სპეციფიკასთან, ყურადღებას ამახვილებს სილაბუსის კონკრეტულ კაზუსებზე და იმ ფაქტზე, რომ რედაქტირებული სილაბუსების პირველი 2 მიზანი ზუსტად ასახავს დარგის სპეციფიკას, პროგრამის სწავლის შედეგები ამჟამად რედაქტირებულ სილაბუსებში შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მისი თქმით ბატონმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ მხოლოდ პირველი ორი კომპეტენცია წარმოადგენს ზოგადს პროგრამაში და სწორედ ეს ორი კომპეტენცია უზრუნველყოფს ზოგად უნარებს პროგრამაში. ექსპერტმა ასევე მიუთითა, რომ პროგრამის I, V და IX შედეგი არ ასახავს დარგის სპეციფიკას, რაზეც უსდ-ის წარმომადგენლები არ ეთანხმებიან, რადგან მოცემულ საბაკალავრო პროგრამაზე შესულია საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები, რომელიც შეეხება პირველ ორ მიზანს, მაგ., სასწავლო კურსი გეოლოგიის საფუძვლები და მათემატიკის საფუძვლები ასევე არის მეცხოველეობის სპეციალური სასწავლო კურსები, რომლებიც პასუხობენ პირველ ორ მიზანს, ისინი ზუსტად ასახავს პროგრამის სპეციფიკას, პირველი შედეგი „მსოფლიო სურსათის საკითხები“ არის მჭიდრო კავშირში მეცხოველეობასთან, კერძოდ მსოფლიო სურსათში მოყვანილია ყველა ცხოველური პროდუქტი, რომელიც გადის მეცხოველეობაზე, ამიტომ, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული საკითხები კავშირშია ერთმანეთთან, მაგ., არის სასწავლო კურსი „ცხოველური

წარმოშობის კვების პროდუქტები“, რომელიც შინაარსობრივად დაკავშირებულია სურსათის საკითხებთან, როგორც თეორიულად ასევე პრაქტიკულადაც, და როდესაც უსდ მონაცემებს იღებდა აიოვას შტატიდან იქ პირველ რიგში იდგა კვების საფუძვლები, ანატომიის სახელმძღვანელო, რომ მივიდა, ჯერ იყო ადამიანის ანატომია და შემდეგ გადადიოდა ცხოველთა ანატომიაზე. V შედეგი „აღწერს ცხოველთა ანატომიას, ფიზიოლოგიას, ცხოველური წარმოშობის პირველად პროდუქტებში, აღწერს მიკრობიოლოგიურ პროცესს“ შეუძლებელია არ შეინიშნოს, რომ მოყვანილი ყველა სასწავლო კურსი არის მაპროფილებელი და ავსებს ერთმანეთს, „ცხოველთა ანატომიის“ უშუალო გაგრძელებაა „ცხოველთა ფიზიოლოგია“ და მათი კავშირი შეისწავლება მისაღებ პროდუქტიულობაზე და მასში მიმდინარე მიკრობიოლოგიურ პროცესებზე. IX შედეგს „იყენებს კომუნიკაციისთვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს“, ქალბატონი მანანა ამბობს, რომ ბატონი ექსპერტი საკმაოდ კარგად ერკვევა თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში და მოეხსენება, რომ ეს შედეგი აუცილებელი და საჭიროა მეცხოველეობის სპეციალისტისათვის, მაგ., მეცხოველეობაში ინოვაციური საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მოძებისათვის ასევე ცხოველთა კვლევისას ულუფის შედგენის დროს გამოიყენება კომპიუტერული პროგრამა „ექსელი“, რომელიც აადვილებს მუშაობას, მათთვის რთული გასაგებია ექსპერტის პოზიცია მიზნებისა და შედეგების მიმართ, უსდ-მ გაითვალისწინა ექსპერტის მიერ მიწოდებული შენიშვნები და რედაქტირებული სილაბუსები არის დახვეწილი და მეტად ფორმულირებული, რომ იყოს დაკვირვებადი, გაზომვადი, შეფასებადი, მტკიცებულება კი ისაა, რომ შექმნილია სპეციალური დოკუმენტი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობისათვის“, სადაც აღწერილია როგორ ფორმირდება სწავლის შედეგები, ასევე როგორ არიან ჩართულნი ამ პროცესში დაინტერესებული პირები, და როგორ თანმიმდევრულად და სტრუქტურულად წარმართავენ საგანმანათლებლო პროგრამის პროცესს, ამავდროულად როგორ ხდება შეფასების, გაანალიზებისა და განვითარების გზების დაგეგმვა.

ქალბატონი მანანა ამბობს, რომ პირველი რეკომენდაცია აბსოლუტურად შესრულებულია, მეორე რეკომენდაციაზე ამბობს, რომ რეკომენდაცია არის სრულად შესრულებული და ასახულია პროგრამასა და მის თანდართულ დანართ N1-ში, პროგრამის სწავლის შედეგები კი დანართ N2-ში და პროგრამის მიზნების/სწავლების რუკა არის კერძოდ შედგენილი და გაკეთებული გაცნობის დონეზე მას ენიჭება - 1, გარღმავების დონეს - 2 და განმტკიცების დონეს - 3, ასე, რომ კურიკულუმის შედგენა იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს უზრუნველყოფს თუ არ არსებული კურიკულუმი სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში. ასევე III რეკომენდაციაზე, გადაფარვებთან დაკავშირებით, უსდ-მ გაითვალისწინა ექსპერტის შენიშვნა და წარმოდგენილი ორი სილაბუსი შეადარეს ერთმანეთს I სასწავლო კურსში „ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები“ არის უშუალოდ გადმოცემული ცხოველური პროდუქტების შედგენილობა და მისი ბიოლოგიური თავისებურებანი, ხოლო სასწავლო კურსში „კვების პროდუქტების კვლევის მეთოდები“ უფრო ფართო ასორტიმენტითაა გადმოცემული ცხოველური კვების პროდუქტების დახასიათება, დაფასობა და ნაწილობრივ რეალიზაცია, ასევე ექსპერტის რეკომენდაციების საფუძველზე მოახდინეს სილაბუსების ჩასწორება, მათში არ შედიოდა „შინაურ ცხოველთა რეპროდუქცია“, „ცხოველთა მომშენებლობა და გენეტიკა“, „ლაქტაციის ბიოლოგია“, შედიოდა მხოლოდ „სამრეწველო მეცხოველეობა“ და „შინაურ ცხოველთა ფიზიოლოგია“, მათი შედარებით ვერ მიიღეს საკითხების განმეორება და შესაძლებელია შემოწმდეს კიდევ, ექსპერტის პირველ რეკომენდაციაში არ იყო ნახსენები სასწავლო კურსი „შესავალი მიკრობიოლოგიაში“ თუმცა მის მიერ მოწოდებულ მეორე რეკომენდაციაში ნახსენებია „ზოგადი მიკრობიოლოგია“, რაც არის შეცდომა, რადგან მათ სასწავლო პროგრამაში აქვთ საგანი „შესავალი მიკრობიოლოგიაში“ და არა „ზოგადი მიკრობიოლოგია“.

პროგრამის ხელმძღვანელი ამბობს, რომ მათ მაინც შეადარეს სასწავლო კურსები „შესავალი მიკრობიოლოგიაში“ და „კვების პროდუქტების მიკრობიოლოგია“, რომელიც მათ მიერ იქნა ჩასწორებული, სასწავლო კურსი „შესავალი მიკრობიოლოგია“ უშუალოდ ორიენტირებულია შესავალ ნაწილზე, ხოლო სასწავლო კურსი „კვების პროდუქტების მიკრობიოლოგია“ ორიენტირებულია კვების პროდუქტების მიკრობიოლოგიური გამოკვლევის მეთოდების შესწავლაზე. ქალბატონი მანანა აღნიშნავს, რომ ექსპერტის რეკომენდაციის საფუძველზე ჩაასწორეს ორი სასწავლო კურსი, აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორივე სილაბუსი აშშ-ის აივოას უნივერსიტეტის რეკომენდაციით არის შედგენილი და ორივეს სილაბუსის შედარებით გამოირკვა, რომ „ადამიანის კვების საფუძვლები“ ემსახურება ადამიანის მიერ საზრდო ნივთიერებების მიღებას ცხოველური საკვებიდან, ხოლო, მეორე სილაბუსი „კვების პროდუქტები და მომხმარებელი“ ემსახურება მიღებული ცხოველური კვების პროდუქტების უშუალო გაუმჯობესების ხერხებს, მათ საფუძვლიანად ვერ შეცვალეს ზემოთხსენებული სილაბუსები, რადგან აღნიშნული რეკომენდაცია აშშ-ის აივოას უნივერსიტეტიდანაა და ქალბატონი მანანა, როგორც პროგრამის ხელმძღვანელი და მეცხოველე თვლის, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ არის მისაღები, შემდეგი რეკომენდაციაში ექსპერტი ახსენებს, როგორც სასწავლო კურსს „ზოგადი ბიოლოგია“, ასევე სასწავლო კურსი „ცხოველთა ზრდა-განვითარება“ ეს არის ზუსტად ის საგანი, რომლის საფუძველზეც სტუდენტი უნდა გაერკვეს ცხოველის შემდეგ პროდუქტიულობაზე, ასევე სასწავლო კურსი „ზოგადი ბიოლოგია“ შესრულებულია ბიოლოგის ზ. ლ-ის მიერ, სასწავლო კურსის „ცხოველთა ზრდა-განვითარება“ შინაარსი შესრულებულია მეცხოველე-სპეციალისტის გ. ც-ის მიერ, შესაბამისად გადაფარვა ამ ორ საგანში შეუძლებელია, რადგან აღნიშნული პროფესორები არიან სხვადასხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერების წარმომადგენლები, ერთი არის ბიოლოგი და მეორე მეცხოველე.

ქალბატონი მანანა ამბობს, რომ ოთხივე სილაბუსი თანამედროვე რეკომენდაციებით არის ჩასწორებული/გამოგზავნილი, ასევე აღნიშნავს, რომ, როგორც სპეციალისტის შეუძლია მსხვილფეხა საქონელი მოიხსენიოს სხვადასხვა ასპექტში, რომელიც ემსახურება უშუალოდ მეცხოველეობას, კერძოდ სასწავლო კურსი „სახორცე და სარძევე მეცხოველეობა“ არის განსხვავებული მიმართულების, თუმცა ორივე მიმართულებას სჭირდება როგორც განაზომები ასევე ნიშანდება, ექსტერიული შეფასება, განაზომების მიხედვით ინდექსის გამოყვანა, შესაბამისად ამან გამოიწვია ასოციაცია, თითქოს ორი სასწავლო კურსის გადაფარვა ხდება. იგი ამბობს, რომ საგანში „ცხოველთა კვება 2“ დეტალურად არის განხილული სქესობრივ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ულუფის შედგენა და კვების თავისებურებები და აღნიშნული სასწავლო კურსი მეტად არის დეტალებზე ორიენტირებზე და გაუგებარია რატომ მიიჩნევს ექსპერტი გადაფარვას ყოველ საგანში, მითუმეტეს, რომ მის მიერ დასახელებული ყველა სასწავლო კურსი არის ძირითადი/წამყვანი მეცხოველეობაში და ყველა გამოირჩევა თავისი ინდივიდუალობითა და სპეციფიურობით.

კურსის ხელმძღვანელის აზრით მეოთხე რეკომენდაციაში (გაუმჯობესდეს სილაბუსის გაფორმების მექანიზმი) წერია, რომ სალექციო სემინარის ლიტერატურის შესაბამისი თემატიკის ლიტერატურის გვერდები არ არის მითითებული, უსდ-ისთვის გაუგებარია მოწოდებული რეკომენდაცია, რადგან სილაბუსის ბოლოს მითითებულია ლიტერატურა და გვერდები, რომლებიც შეესაბამება თითოეულ სალექციო კურსს და ისინი თვლიან, რომ ბაკალავრიატის სტუდენტს მოეთხოვება უფრო მეტად იმუშაოს ლიტერატურასთან და თვითონ მოიძიოს უფრო დეტალური ინფორმაცია, როგორც ძირითად ასევე დამხმარე ლიტერატურიდან, ასევე მათ აქვთ სალექციო კურსი ძალიან მაღალ დონეზე შედგენილი სილაბუსის მიხედვით და ახდენენ მის გაცნობას სტუდენტებისთვის და აგზავნიან სალექციო მასალას სტუდენტებთან, რაც შეეხება შემდეგ ჩანაწერს, რომ სხვადასხვა სილაბუსში შეინიშნება შეუსაბამო ძირითადი ლიტერატურის და მითითებული ლიტერატურის დუბლირება მათ მიერ

შედგენილ სილაბუსებში გამოყენებულია ერთი და იგივე ლიტერატურა, თუმცა თითოეულ სალექციო კურსში იკითხება ერთი ლიტერატურის განსხვავებული თავები, ანუ ერთი ლიტერატურა, რომელიც არის განსხვავებულ მიმართულებების ინფორმაციაზე საშუალებას იძლევა გამოიყენონ სხვადასხვა სალექციო კურსში, ალბათ სწორედ ამან გამოიწვია ექსპერტის ექვი, რომ ხდება სხვადასხვა კურსებში ერთი და იგივე ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის, თუმცა ეს არ არის რეალობა, რადგან დაწესებულება სხვადასხვა სასწავლო კურსში იყენებს ერთი და იგივე ლიტერატურის განსხვავებულ თავებს, ასევე პროგრამაში არსებული კურსების სალექციო მასალა ურთიერთკავშირშია, რის გამოც ხდება მსგავსი ლიტერატურის განსხვავებული თავების გამოყენება, ამიტომ პროგრამის ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ ლიტერატურის მსგავსი გადანაწილება დასაშვებია.

ქალბატონი მანანა ბატონ ბესარიონს ახსენებს, რომ მას ორ სემესტრად აქვს გავლილი მეცხოველეობის საფუძვლები, რომელსაც წლების მანძილზე ქალბატონი მანანა ასწავლიდა ზოო-ვეტერინარულ ინსტიტუტში და იქ პირველ სემესტრში გადიოდნენ მხოლოდ მეძროხეობას, რომელშიც შედიოდა, როგორც მერძეული ასევე მეხორცეული, ორმაგი გამორგები, მათი განაზომები და ყველაფერი, მეორე სემესტრში კი ისწავლებოდა ყველა დანარჩენი სხვა სახეობის ცხოველები თავისი საჭიროებების მიხედვით. ქალბატონი მანანას აზრით მნიშვნელოვანია ინტერნეტრესურსების გამოყენება, რადგან ისინი გამოიყენება, როგორც დამატებითი ლიტერატურა, რომელიც ეხმარება სტუდენტს საშინაო დავალების შესრულებაში, სიტუაციური ანალიზის განხილვასა და ამოცანის შესრულებაში, ასევე „ქეის“ ტექნოლოგიების/ანალიზის განხილვაში, სწავლებაში აღნიშნული ინტერნეტ რესურსები კარგი საშუალებაა თვალსაჩინოების კუთხით, როდესაც ბავშვები ლექტორებს უგზავნიან პრეზენტაციებს ისინი ცდილობენ ყველამხრივ არსებული საკითხების მოსაძიებლად ისარგებლონ ინტერნეტ რესურსებით.

პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ სილაბუსების რაოდენობა და შინაარსი არ არის მოგონილი და გაბერილი, როგორც ამას ექსპერტი აღნიშნავს, რადგან პროგრამის სტრუქტურს 80% არის იდენტური აიოვას უნივერსიტეტის მეცხოველეობის პროგრამის, ამიტომ მათ არ აქვთ უფლება ჩაასწორონ სილაბუსები. ქალბატონი მანანა ყურადღებას ამახვილებს ანგარიშის შეფასების ნაწილში, რომელშიც ერთიდაიგივე ჩანაწერებია დაკოპირებული, „ბუნდოვანი აზრი“, „სილაბუსებში ვხვდებით სწავლის მეთოდების დუბლირებას“ მეოთხე და მეხუთე რეკომენდაციის ნაწილში ერთიდაიგივე აზრია, მას შთაბეჭდილება რჩება, რომ ექსპერტი ამდაფრებს, ამძიმებს ანგარიშს, თუმცა რით არის გამოწვეული მისთვის გაუგებარია, ანგარიშის შესახებ დასკვნაში კერძოდ IV, V და X რეკომენდაციაში და მისი ანგარიშის შეფასების დასკვნაში ადგილი აქვს ტერმინოლოგიის არევას, კონკრეტულად სწავლების მეთოდებსა და აქტივობებს შორის, სწავლების შედეგების შეფასების ფორმირებასა და სწავლის შედეგების მეთოდებს შორის.

ქალბატონი მანანა იხსენებს 2007 წლის 5 იანვრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3-ის საფუძველზე შემდეგ ჩანაწერს: მუხლი N1. შეფასების ფორმები, შეფასების ფორმულირებები, შუალედური შეფასების და დასკვნით შეფასება რომლის ჯამიც წარმოადგენს საბოლოო შეფასებას, შეფასების კომპონენტები, შეფასები ფორმირების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნას ან უნარს ან კომპეტენციების შეფასების ხერხებს, რომელიც შეიძლება ავითარებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდს ზეპირს, გამოცდას, წერით, გამოკითხვას, აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების შექმნას, სპექტაკლს, პრაქტიკულ, თეორიულ სამუშაოს და უამრავი მეთოდებია, მესამე შეფასების მეთოდი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში განსაზღვრული სწავლების შედეგების მიღწევის შესაძლებლად გამოსაყენებელი საშუალებაა, ტესტები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიო-ვიზუალური წარმოდგენა და საკონტროლოს შესრულება, პრაქტიკული/თეორიული

დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობა, ობიექტურად/სტურქტურულად კლინიკური გამოცდილება და სხვა, სწავლა-სწავლების მეთოდები მოიცავს შესაბამის აქტივობებს, რომელიც შეიძლება იყოს ტრადიციული და ინტენსიური სწავლების ტექნოლოგიიდან გამომდინარე, რომელსაც პედაგოგი შეარჩევს კონკრეტული მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, მეხუთე რეკომენდაცია ჟღერს ასე: „კურსის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს შეფასების მეთოდების სწავლების შედეგების შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში“, მეათე რეკომენდაციით „სასაწავლო კურსების შეფასება გათვალისწინებული უნდა იქნეს კურსის სპეციფიკასთან“, უსდ-ს სურს აღნიშნონ, რომ მითითებული რეკომენდაციები სრულად არ არის გათვალისწინებული, რადგან 1 წლის განმავლობაში სილაბუსები იყო მოდიფიცირებული ამ ნაწილშიც, მაგ., დაემატა ახალი სასწავლო აქტივობები, მათი უმეტესობა წარმოადგენს თერაპიულ აქტივობებს, გონებრივ იერიშებს, ხელის კონტროლს და ა.შ. აგრეთვე მოხდა შეფასების მეთოდების დახვეწა, მიმდინარე, შუასემესტრულ და დასკვნით ნაწილში, ასევე გაჩნდა ცალკე შეფასება პრაქტიკული უნარჩვევების, მაგ., სიტუაციური ამოცანები.

დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ქალბატონი მანანა შეეცადა დეტალურად გაელოდა იმ რეკომენდაციებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო ექსპერტის მიერ, მაგრამ მას სურს შეაჯამოს იმ ფაქტი, რომ ეს რეკომენდაციები არ იყო ანგარიშში ანუ ანგარიში, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ (05.03.2019) ეს რეკომენდაციები იყო ზოგადი სახით, მაგ., „გასწორდეს სილაბუსებში გადაფარვები“, „მოვიდეს შესაბამისობაში შეფასების მეთოდები და შეფასების სისტემა“, სილაბუსები, როგორც ასეთი ჩამოთვლილი არ არის, შესაძლებელია ამის შემოწმება, ამის შემდეგ, ექსპერტი წარმოადგენს ახალ რეკომენდაციებს, უნივერსიტეტის პოზიციით ეს რეკომენდაციები არ უნდა იქნას განხილული, ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესწორებული და მოდიფიცირებულია 28 სილაბუსი, რომელიც წარმოდგენილია საბჭოზე.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა შეახსენა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ რომ განიხილავენ საბჭოს მიერ გაზიარებულ რეკომენდაციებზე დაწესებულების აზრს და თუ რამე ისეთი რეკომენდაციაა ექსპერტის მიერ დასახელებული, რომელიც არ იყო საბჭოს მიერ გაზიარებული და მაშინდელ ოქმში ასახული, ეს საბჭომ აუცილებლად უნდა იცოდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მაშინ ოქმშიც და დასკვნაში იყო ზოგადი ჩანაწერები, ანუ ის სილაბუსები, რომლებიც ამჟამად ბატონი ბესარიონის მიერ არის წარმოდგენილი/დაკონკრეტებული მაშინ არც ოქმში და არც დასკვნაში არ ყოფილა, შესაძლებელია ამის გადამოწმება, შესაბამისად ახალი რეკომენდაციის გაცემის უფლება ამ ეტაპზე არ ჰქონდა, რადგან პირველ რიგში ეს იყო ანგარიშის განხილვა და უნდა გაირკვეს რამდენად შეასრულა დაწესებულებამ ის რეკომენდაციები, რაც იყო გაცემული, შესაბამისად უსდ-მ გააკეთა ის რეკომენდაციები, რაც იყო გაცემული საბჭოს მიერ, ანალიზურ ქიმიასთან დაკავშირებით საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ეს არის ოქმი N15-ში (05.03.2019) რომელშიც ასევე ანალიზურ ქიმიანზე გაკეთებული, ანუ საბჭომ გაიზიარა ეს ყველაფერი, გამოდის რომ ხელმეორედ ხდება პროგრამის რევიზია/ აკრედიტაცია და დაწესებულების წარმომადგენლები ვერ ვხვდებიან რატომ ხდება ასე, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონმა მანანამ გასცა ამაზე პასუხები, პროგრამის დანარჩენი წარმომადგენლებმა არ შეაწყვეტინეს პროგრამის ხელმძღვანელს და მისცეს საშუალება ეპასუხა, მაგრამ თვლიან, რომ ეს შენიშვნები არ უნდა იყოს გათვალისწინებული საბჭოს მიერ.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ყურადღებას ამახვილებს დანართ N1 და ნართ N2-ზე, რომელიც აქვს პროგრამას და კურიკულუმის

განუყოფელი ნაწილია, მისი თქმით დანართი N1 არის „სწავლის შედეგების შესაბამისობა სასწავლო კურსებთან“ და დანართი N2 - „სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან“ ეს ორი დანართი ცხრილის სახით უსდ-მ შეადგინა აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისად და ხარისხის სამსახურის რეკომენდაციებზე დაყრდნობით და რაც ეს რუკა დაიხვეწა მას შემდეგ რეკომენდაციები აღარ მიუღიათ, თუ ბატონმა ექსპერტმა ვერ გაიგო იქ გარკვევით იყო გაწერილი 1, 2 და 3 გულისხმობს იმას, რომ სხვადასხვა სასწავლო კურსი შედეგზე გადის სხვადასხვა დონით, 1-ეს არის გაცნობის დონე, 2 - გაღრმავების დონე და 3 - გამტკიცების დონე, შესაბამისად ერთიდაიგივე შედეგზე მითუმეტეს, როდესაც პროგრამაში არსებობს ოქროს წესი, რომ ბაკალავრიატის პროგრამაში 10 სასწავლო შედეგი უნდა იყოს როგორ წარმოუდგენიათ 80 სილაბუსში თითოეულ საგანს ჰქონდეს სხვადასხვა სწავლის შედეგი, საგანთა ნუსხა პირობითად 120 კრედიტი, რომელიც სავალდებულოა და გადის კვალიფიკაციაზე უნდა გადიოდეს 10 შედეგზე, შესაბამისად სხვადასხვა სასწავლო კურსი შედეგზე გადის სხვადასხვა დონით და შესაბამისად გადის ერთიდაიგივე სასწავლო შედეგზე, ეს არის ჩვეულებრივი მომენტი და ამას სხვანაირად ვერ ახსნიან, თუ არის სასწავლო კურსი - სწავლის შედეგზე საუბარი ეს დეტალურად არის სილაბუსში მოცემული, ხოლო კურიკულუმში ეს არის გამსხვილებულად და კვალიფიკაციასთან მიმართებაში არის განსაზღვრული რომელი საგანი რა წილობრივი ხვედრით გადის ამა თუ იმ შედეგზე. მეორე ცხრილი არის სწავლის მიზნების და სწავლის შედეგების კავშირი რა თქმა უნდა აქაც რამდენიმე სწავლის შედეგი გადის მიზანზე, რომელიც მოკლე, კონკრეტული, მიზანსა და პროგრამის კვალიფიკაციაზე მიმართულია, აქ ვერ ჩაიწერება ერთი გვერდი, რომ ყველას ჰქონდეს თავისი შესაბამისი მიზანი, ამასთანავე ეს ცხრილი თავის აზრს დაკარგავს.

ქალბატონი ირმა საუბრობს პრერეკვიზიტების რუკაზეც, ამბობს, რომ ისიც არის კურიკულუმის ნაწილი, ეს არის აბსოლუტურად გასწორებული ყოველგვარი ხარვეზის გარეშე და ადასტურებს პროგრამის ლოგიკურობასა და აწყობილ სისტემას (მარტივიდან რთულისკენ გადასვლას) და მიმართულია სწავლის შედეგზე.

ექსპერტი ეკითხება ქალბატონ ირმას იყო თუ არა საუბარი ანგარიშში პრერეკვიზიტების რუკაზე, რადგან ის არ შეხებია ამ რუკას და ახსენებს, რომ საუბარი იყო მიზან-შედეგების და კომპეტენცია-შედეგების რუკაზე, პრერეკვიზიტების რუკაზე მას არანაირი პრეტენზია არ ის გასწორებულია და ეს რეკომენდაცია დაკმაყოფილებულია.

ქალბატონი ირმა მაძლობას უხდის ბატონ ბესარიონს ამის აღნიშვნისთვის, ამბობს, რომ ექსპერტის მიერ ნახსენები ორივე დანართი შედგენილია ცენტრის რეკომენდაციებზე დაყრდნობით. რაც შეეხება ხარისხის სამსახურების კომუნიკაციას ამაზე, მეტყველებს ის, რომ შევიდა ცვლილებები, პროგრამის შემუშავების წესსა და სილაბუსის შემუშავების წესში, სადაც წერია, რომ არცერთი სილაბუსი ისე არ გადის დეპარტამენტის დონეზევე თუ ფაკულტეტის ხარისხმა არ შეატყობინა ცენტრალურს და მათი წარმომადგენელი არ დაესწრო დეპარტამენტის სხდომას, ანუ სილაბუსის შემუშავების პროცესიდანვე ითხოვენ ჩართულობას არა მხოლოდ დარგის სპეციალისტის, კურსდამთავრებულის, სტუდენტის, დამსაქმებლის, დაინტერესებული პირების, არამედ, როგორც ფაკულტეტის ასევე ცენტრალური ხარისხის წარმომადგენლის დასწრებას, გარდა ამისა აქვთ თანამედროვე საქმის წარმოების წესი eFlow-ს სახით, რომელიც მუდმივად კონტროლირდება და მუდმივ კავშირზე არიან, გარდა ამისა აქვთ პირადი მეილი, სადაც საკმაოდ ხშირი პირადი მიმოწერა აქვთ და გარდა ამისა ყოველ კვირას აქვთ დანიშნული დღე, როდესაც აქვთ თათბირი და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთად და განიხილავენ საკითხებს, გარდა ამისა თუ არის საბუთები ყოველ კრებაზე/თათბირზე აქვთ დასწრების ფურცელი და შეუძლიათ წაემოადგინონ თარიღებთან ერთად.

ექსპერტი ამბობს, რომ მას სურს რამდენიმე კომენტარის გაკეთება, პირველ რიგში დიდ მადლობას უხდის დაწესებულებას გარკვეულ კითხვებზე პასუხების გაცემისთვის და აღნიშნავს, რომ მისი მიზანი არ არის, რომ რაღაც ჩაიშალოს/დაიხუროს, მისი მიზანია, რომ გამოსწორდეს/გაუმჯობესდეს, რისი შესაძლებლობაც დაწესებულებას ჰქონდა და ექსპერტს იმედი აქვს, რომ კიდევ ექნებათ, მისთვის გაუგებარია თუ იგივე ანაზღაურება აქვს პროგრამის ხელმძღვანელს შტატზე იქნება ის თუ მოწვეული მაშინ რა არის იმის მიზეზი, რომ ლექტორი იღებს 10 საგანს, რატომ ტვირთავს დაწესებულება პროგრამის ხელმძღვანელს ასე, რომელმაც სულ ახალ-ახალი რაღაცეები უნდა დანერგოს, რაც ჩვენს ქვეყანას ნამდვილად სჭირდება, ექსპერტს ექვი არ ეპარება ქალბატონი მანანას პროფესიონალიზმში და ძალიან კარგია თუ მატერიალურად უზრუნველყოფს მოწვეულ პროფესორებსაც იგივე ანაზღაურებით, როგორც შტატში მყოფებს, მაშინ საერთოდ რა განსხვავებაა მათ შორის.

ბატონი ბესარიონი ტენდერებზე ამბობს, რომ მას რა დოკუმენტაციაც ჰქონდა იმაზე გააკეთა კომენტარი და დანარჩენი რაღაცების შექმნა სურდათ, მაგრამ მას ამაზე დოკუმენტაცია არ ჰქონია და ძალიან კარგია, რომ შექმნის სურვილი ქონდათ, თუმცა უკეთესი იქნებოდა, რომ შეეძინათ.

ექსპერტის აზრით კვების ობიექტი ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესისთვის, რადგან ლექტორი, რომელიც 4-5-6 საათი ატარებს ლექციას ან სტუდენტი, რომელიც მთელი დღე უნივერსიტეტშია მას უნდა ჰქონდეს საარსებო საშუალება გონების მოკრებისთვის, რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ საათები, რომ უსმენ არაპროდუქტულია თუ იქ არ არის საკვების მიღების საშუალება, ან თუნდაც ყავის დაღვევის მაინც. მატერიალური რესურსები წერია და ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, რაც არ უნდა დიდებულად ასწავლოთ და წარმართოთ სასწავლო პროცესი და ტექნოლოგიები, თუ ადამიანს ენერჯის წყარო არ ექნება ვერაფერს აითვისებს, ასე რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ბატონი ბესარიონი ბიოქიმიისა და ანალიზური ქიმიის შესახებ ამბობს, რომ ანალიზური ქიმიის არცერთი თემატიკა არ არის ზოგად ქიმიისა და ამასთანავე ბიოქიმია ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ვეტერინარისთვის, მედიკოსისა და ბიოლოგისთვის არამედ მეცხოველეობის სპეციალისტივისაც, რადგან მან უნდა იცოდეს რა ბიოქიმიური პროცესები მიმდინარეობს ცოცხალ ორგანიზმში როგორ უნდა მართოს ის და ეს ყველაფერი არის დაკავშირებული ფიზიოლოგიასთან, კვებასთან და ა.შ. ასევე მიზანი არ უნდა იყოს ცხოველის ბიოლოგიის სწავლა, არსებობს მიზნები და შედეგები, რომლებიც არის შუალედური შედეგები, რომლებსაც ეტაპობრივად აკმაყოფილებს მზარდი პროფესიონალი, მაგრამ არის საბოლოო, ფინალური, დიდი, მაგისტრალური მიზანი და შედეგები, სწორედ ეს უნდა იყოს, არა ზოგადი შედეგები/კომპეტენციები, არამედ დარგობრივი კომპეტენციები უნდა იყოს მოცემული რუკაში ამაზე არის ლაპარაკი, მთავარი არის პროფესიულ, დარგობრივ კომპეტენციებზე როგორ გადის და მერე როგორ მოხდება მისი შეფასება. ასევე აღნიშნავს, რომ ანატომია და ფიზიოლოგიას შორის კავშირზე ვერ დაეთანხმება უსდ-ს, ფიზიოლოგია ანატომიის გაგრძელება არ არის, ყველა საგანი ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად შინაარსობრივ კავშირშია, მაგრამ თემატურად არანაირი თემა ანატომიის არ არის. ექსპერტი ცალსახად ამბობს, რომ ანატომია ერთ სემესტრში არ არის საკმარისი მეცხოველისთვის. ინოვაციურ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე კი ამბობს რომ ეს ყველა პროგრამისთვის მნიშვნელოვანია, ექსელი, ინტერნეტი და წერილის დაწერა უნდა იცოდეს ადამიანმა და არ არის აუცილებელი მისი გადატანა პროფესიულ-დარგობრივ კომპეტენციაში. ეს შესაძლებელია სულ სხვანაირად ფოკუსირებულიყო, კვების საკითხებში რაღაცეების გამოთვლა აუცილებელი ექსელში, თუ კვების მიმართულებით შეიძლება სხვანაირად ჩაიდოს ამ ყველაფერში, რომ ერთიანი პროთეზის შემადგენელი ნაწილი იყოს, ამასთანავე რუკა არის მაგრამ არ არის ზუსტად ფორმულირებული, რაც ნიშნავს, რომ მიზნები

და შედეგები არ არის სწორად ფორმულირებული, ცალკეულ შემთხვევებში ეს არის ზოგადი, ზოგიერთ შემთხვევაში კი შინაარსობრივად არასწორი.

ბატონი დავით მახვილაძე (სტუ-ის რექტორის მრჩეველი) ეკითხება ექსპერტს რას გულისხმობს შინაარსობრივად არასწორში და აღნიშნავს, რომ ისინი პოზიციებზე ვერ შეთანხმდებიან.

ექსპერტმა განმარტა, რომ გაწერილია 9 შედეგი და მნიშვნელოვანია სწორად იყოს ფორმულირებული, რომ ეს შედეგი განისაზღვროს ერთ კონკრეტულ ფინალურ შეფასებაში, რომელიმე მაპროფილებელ საგანში, გავიდნენ თუ არა ჯამურად ამ შედეგზე, და შედეგი უნდა იყოს ფორმულირებული „შეუძლია რაღაცის გაკეთება“, „რაღაცაში ცოდნა აქვს“, „რაღაც წაკითხული აქვს“. „მოყოლის საფუძველზე იცის“ ეს არ არის შედეგი, უნდა შეეძლოს ამ პრობლემის გადაჭრა, ამ რაღაც კონკრეტული მანიპულაციის თუ რაღაც უფრო მნიშვნელოვანის გაკეთება, ცხრილში რაც არის ფორმულირებული, რომელი შედეგები არ ასახავს ამ პროგრამის დედა აზრს, მნიშვნელობას რატომ უნდა იყოს ეს პროგრამა, „აღწერს ცხოველის ანატომიას/ფიზიოლოგიას“, „ცხოველური წარმოშობის პირველად პროდუქტებში აღწერს მიკრობიოლოგიურ პროცესებს“, კურსდამთავრებული აღწერის დონეზე ამთავრებს კურსს? რომ აღწეროს, რას ქვია აღწეროს, „განსაზღვრავს მსოფლიო სურსათის საკითხებს, მეცხოველეობის დარგის მნიშვნელობას, რომელიც მოცავს თეორიულ-პრაქტიკული პრინციპების ერთობლიობას“ როგორ უნდა შეაფასოთ ეს? გამოკითხვის საფუძველზე? მოყვება რამდენად მნიშვნელოვანია მსოფლიო სურსათის პრობლემები?

მას მიაჩნია, რომ შესაბამისი ფორმულირებაა ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით ისე, რომ იყოს შეფასებადი, გადაფარვებს რაც შეეხება პასუხი იყო გაცემული, მან რამდენიმე მომენტზე აღნიშნა, რომ ნაწილობრივ არის შესრულებული, რაღაცეები შეასრულეს, მაგრამ ყველაში არ შესრულებულა, ბუნებრივია, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა დაწერა სილაბუსებში აღმოიფხვრას და კოლეგიალობიდან გამომდინარე არ დააკონკრეტეს, ეს იყო შეცდომა, უნდა მიეთითებინა. ის რომ 8 სხვადასხვა სახელმძღვანელო გამოიყენება 22 საგანში და სხვადასხვა თავები ისწავლება, მარტივია, სახელმძღვანელო, რომელიც არის 150-200 გვერდიანი წარმოუდგენელია 8 საგანში იქნას გამოყენებული, ექსპერტი ამბობს რომ სწორედ ამიტომ მიმართეს უსდ-ს დაეწერათ გვერდები/თავები, რომ არ გაჩენილიყო ეჭვი, ამავედოულად მას ახალ დასკვნაში გამუქებული აქვს სილაბუსები და ლიტერატურა, რომელიც შინაარსობრივად აბსოლუტურად შეუსაბამოა ერთმანეთთან, ექსპერტი ამბობს, რომ მან ნახა გარკვეული ინერნეტ რესურსები, რაც მითითებული იყო სილაბუსებში და არანაირი „ქეის“ ანალიზები არ იყო მოცემული, ასევე ახალ დასკვნაში აღნიშნა რომ გადაფარვები ნაწილობრივ აღმოიფხვრა, მაგრამ კვლავაც არის და მიუთითა, რომ გადაფარვები შეიძლება იყოს 2-3-4 თემაში, 5 თემაშიც, მისი თქმით უმეტეს შემთხვევაში კონკრეტული ინფორმაცია აქვს დაფიქსირებული, რომელიც ძალიან მარტივად შეიძლება რომ ინახოს, სტანდარტების გამეორებაზე საუბარშიც აღნიშნა, რომ გარკვეული რეკომენდაციები რაღაც ნაწილით მეორდება, თუ არ აქვს სწორად დაწერილი მიზანი ან შედეგი ის შემდეგ რუკებშიც აისახება და ეს პრობლემაა, მისთვის გასაგებია, რომ მეორდება, მაგრამ მაშინ რადიკალურად უნდა შეიცვალოს ეს რუკა. ექსპერტისთვის სასიხარულოა, რომ შიდა და გარე ხარისხის სამსახურები ამჟამად კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან, მაგრამ ადრე მათ ეს ვერ დაინახეს, რომ ფლობდნენ ინფორმაციას პროგრამის შინაარსის შესახებ და ბოლო მიზან-შედეგობრივი რუკების შესახებ, დანართი N1 და დანართი N3, სადაც ესენია ასახულია, აქ ჩამოთვლილია მიზნები და შედეგები, ყველა მიზანი ყველა შედეგზე გადის, ასეთი ძალიან დიდ კითხვის ნიშანს იწვევს, ყველა მიზანი ყველა შედეგზე ვერ გავა, მეორე შედეგების-კომპეტენციების რუკა, სადაც ჩანს რომელი საგანი რომელ კომპეტენციაზე გადის და ცხრავე შედეგზე გადის თითქმის ყველა საგანი, 1, 2 ან 3 ბალიანი სიმძლავრით, ძალიან თუ ჩავუღრმავდებით თითოეულ მათგანს ძალიან ცხადად ჩანს, რომ რეალურად ასეთი სიმძლავრეები/კავშირები ამ საგნებს და შესაბამის შედეგებს შორის არ არსებობს, ბატონი

ბესარიონი ამბობს, რომ მას არაერთი ანალიზის შედეგზე პასუხი არ მიუღია, წარმატებას უსურვებს დაწესებულებას და ეუბნება, რომ კოლეგებთან ერთად ამდენი რეკომენდაციისა და რჩევის ფონზე მაინც უმაღლესი შეფასება დაუწერა უსდ-ს.

ქალბატონი ნინო ლომიძე ამბობს, რომ ბატონ ბესარიონს ახალი არაფერი უთქვამს და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ეს რეკომენდაციები არ ყოფილა დასკვნის ფარგლებში, გაჩნდა მხოლოდ ხელახალი ანგარიშის ფარგლებში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს არ შეესაბამება სიმართლეს და მოითხოვს დაასახელოს ერთი ახალგაჩენილი რეკომენდაცია მაინც.

ქალბატონი ნინო მადლობას უხდის ყველას და აღარ შედის ბატონ ბესარიონთან პოლემიკაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ დასვა კითხვა უსდ-მ თავის სიტყვაში თქვა, რომ მოწვეულ პერსონალსა და აკადემიურ პერსონალს ერთიდაიგივე ფუნქციები აქვს და მათი ფუნქციები და ასე შემდეგ დაახლოებით ერთიდაიგივეა, და როგორ ფიქრობთ რატომ შეიძლება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არ იყოს აკადემიური პერსონალი?

დაწესებულების წარმომადგენელი პასუხობს, რომ მოწვეული, აფილირებული პროფესორია.

საბჭოს წევრი ნიკა თინიკაშვილი პირველ რიგში მადლობას უხდის ორივე მხარეს და ამბობს, რომ მიუხედავად ბევრი ინფორმაციის მოსმენისა მას მაინც უნდა დააზუსტოს რამდენიმე საკითხი, ის შინაგანად ვერ ეთანხმება იმ აზრს, რომ იყო რეკომენდაციები მიცემული და უსდ-ს არ ქონდა მზაობა, რომ გაეთვალისწინებინა, ეს ანგარიშშიც ჩანს და საუბრისასაც აღნიშნეს დაწესებულების წარმომადგენლებმა, რა შეიძლება გათვალისწინებულიყო და რა გაეკეთებინა, რაღაც დონეზე ბუნებრივია შესაძლებელია მეტი მიდგომებია საჭირო და გასათვალისწინებელია ეს პერიოდიც (პანდემიის პერიოდი), ასევე ამბობს, რომ დასკვნაშიც არის ბევრი გასათვალისწინებელი ფაქტი, მათ შორის რეკომენდაციების ნაწილში შინაარსობრივად მეორდება საკითხები და შეუძლია დაასახელოს, დასკვნაში იკვეთება ავტორიზაციის თემებიც, რაც აკრედიტაციის სტანდარტებს რაღაც დონეზე არ პასუხობს და არის აკრედიტაციის საკითხები, ამიტომ სტანდარტით არ მოითხოვება და უნდა ჰქონდეს რჩევის სახე, მაგ., კურიკულუმის რუკაზე არის საუბარი, რომელიც ფაქტობრივად 2 რეკომენდაცია ერთ შინაარსსაა, სადაც საუბარია, რომ გაჩნდეს წინაპირობები ამა თუ იმ სასწავლო კურსის კურიკულუმის რუკაში და შემდეგ მეორე რეკომენდაციაშიც მსგავსი შინაარსის ტექსტი წერია და მიმართავს ბატონ ბესარიონს, რომ მან ახსენა სწავლის შედეგების გაწერა და ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება სწავლის შედეგებში, მათ შორის ერთ-ერთი ზმნა დაასახელა ექსპერტმა, რომელიც ზუსტად ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით პირველ სწავლის შედეგს ცოდნას შეესაბამება, თვითონ ეს ზმნა ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით გაწერილი თუნდაც „აღწერს“ ცოდნის დონეზე შეფასებადი და გაზომვადია, თუ ექსპერტი შინაარსობრივ ნაწილზე ედავება, როგორ არის სწავლის შედეგები გაწერილი უნდა იყოს დაკონკრეტებული რაში არ ეთანხმება, ისევე როგორც, როდესაც გადაფარვაზე საუბრობენ სილაბუსები უნდა იყოს მითითებული, გასაგებია კოლეგიალური მხარე, მაგრამ თუ უსდ-ისა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელშეწყობაზე ვსაუბრობთ, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია, უნდა ეწეროს კონკრეტულად რომელ გადაფარვებზეა საუბარი, რა უნდა გაუმჯობესდეს, „სხვადასხვა საგნის სილაბუსებში აღმოიფხვრას თემების გადაფარვა“ უნდა დაკონკრეტდეს რომელ საგანში და რომელი თემების.

ბატონი ბესარიონი პასუხობს, რომ მის მიერ დაწერილ დასკვნაში დაწვრილებით არის ჩამოწერილი სად არის გადაფარვა და სად არის შეუსაბამო ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ექსპერტთან ჰქონდა დამაზუსტებელი კითხვები, რადგან მას ჰქონდა შეხვედრები კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, რამდენად მუშაობს პროგრამის მნიშვნელოვანი ინდიკატორები, რამდენად წარმატებულია, რა შედეგებზე გავყავართ, რა არის რეალურად გასასწორებელი, გარდა ფორმალური მხარეებისა, ბევრი კარგი რეკომენდაციაა და ჩანს, რომ ექსპერტს ნამდვილად უნდა წვლილი შეიტანოს პროგრამის განვითარებაში, რასაც მიესალმებიან და ამბობს, რომ საბჭოს წევრების მოწოდებაც. ექსპერტის განწყობა და მზაობა ძალიან კარგი და მოსაწონია, თუმცა ზუსტად ეს შინაარსობრივი მხარე აინტერესებს მას, დავუშვათ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან გასაუბრებისას რა საკითხები გამოიკვეთა, რას ისურვებენ სტუდენტები, მაგ., სასაბუღალტრო საკითხი, ავტორიზაციის თემები რაც დაისვა იყო თუ არა ამის საფუძველი სტუდენტებთან გასაუბრება.

ექსპერტმა განმარტა, რომ გადაფარვებთან დაკავშირებით შეუძლია რამდენიმე წამში ზუსტად მიუთითოს დასკვნაში რომელ გვერდზე რა ადგილას წერია, რომელ საგანში რა გადაფარვაა, რომელი ლიტერატურაა ერთიადიგივე, რამდენი ერთიადიგივე წიგნი შეიძლება 7-8 საგანში იკითხებოდეს, 8 ლიტერატურა მეორდება 22 საგანში, 2 სახელმძღვანელოს გარდა არც ისე დიდტანიანი ლიტერატურა იყო და ზუსტად ეს უწერია დასკვნაში. ექსპერტის თქმით, ძალიან ბევრი გადაფარვა იყო და ახლა შემცირდა, ასევე აღიარებს, რომ ეს იყო მათი შეცდომა და ამჯერად არავის არ დაზოგავს და ზუსტად მიუთითებს სილაბუსის ავტორს ყოველთვის, ადრე, რომ მიეთითებინათ ავტორები ალბათ გაითვალისწინებდნენ და მათი ლოიალობიდან გამომდინარე ზოგადად თქვეს, იმდენად მასშტაბური იყო გადაფარვები. შედეგების ფორმულირება ძალიან მნიშვნელოვანია, ბლუმზე იქნება საუბარი თუ არა, შინაარსობრივად უნდა გადიოდეს პროგრამა იმ შედეგებზე, რაც ამ პროგრამის დასრულების შემდეგ უნდა გააჩნდეს სტუდენტსა და დასაქმებულს, ყველა ეს შედეგი ზოგადად საჭიროა ამ დარგის სპეციალისტებისთვის, კი არ უნდა იცოდეს, აღწერდეს და ყვებოდეს ბიოლოგიურ და ქიმიურ პროცესებს არამედ უნდა შეეძლოს გამოყენება.

საბჭოს წევრის თქმით ბლუმის მიხედვით, რომ აღწერს ეს შეესაბამება პირველს - ცოდნას, რა იცის; მეორეა - როგორ შეუძლია, როგორ იყენებს; მესამეა - პრაქტიკაში როგორ იყენებს როგორ ითავისებს, ექსპერტს ეუბნება, რომ დაწესებულებას ამაში ვერ შევედავებით სწორად აქვთ დაწერილი, მაგრამ თუ ექსპერტი ამბობს რა შინაარსი უწერიათ, აქვს თუ არა ექსპერტს ამის დადასტურება დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან.

ექსპერტის განმარტებით ეს შედეგები და რუკები მაშინ საერთოდ არ იყო წარმოდგენილი, უფრო სწორად წარმოდგენილი იყო არასწორი, შედეგი: რძე, ხორცი, ძროხა, ეს იყო შედეგი. აბსოლუტურად სხვა სტრუქტურა ჰქონდა რუკას, ახლა კი მეტ-ნაკლებად ფორმაში იქნა მოყვანილი, მაგრამ პირველი ორი მიზანი ძალიან ზოგადია და სამი შედეგი (I, IV, IX) არ ასახვს პროფესიულ/დარგობრივ კომპეტენციას რაც ძალიან მნიშვნელოვანია, 4 წელი იმიტომ სწავლობს სტუდენტი, რომ მნიშვნელობა შეაფასოს? ასევე, საინტერესოა რა პარამეტრებით შეფასდება, რა დავალებას მისცემენ, ალბათ დააწერინებენ, თუმცა ეს არის პრაქტიკული დარგი და უნდა ჩატარდეს პრაქტიკული გამოცდები.

საბჭოს წევრს აინტერესებს ექსპერტის აზრით რა განხვავებაა VIII და IX რეკომენდაციას შორის, ანუ ამ რეკომენდაციების მიხედვით რა უნდა გააკეთოს დაწესებულებამ.

ბატონი ბესარიონი განმარტავს, რომ VIII რეკომენდაციაში იგულისხმეს ის მინიმალური, რომ სტუდენტებს გაუიოლდეთ ის ყველაზე მნიშვნელოვანი საგანი და არა ბევრი საგანი, პრერეკვიზიტები კი არა კონკრეტულად ის ბოლო საგანი, რომელიც მნიშვნელოვანია და სხვები უდევს საფუძვლად, IX რეკომენდაცია კი, სილაბუსებში და რუკაში იყო სხვადასხვა და იგულისხმება, რომ ეს ორი უნდა დაემთხვეს ერთმანეთს, ექსპერტი აღნიშნავს, რომ საბჭოს მიერ დამტკიცებულია ეს დასკვნა, მათ შეეძლოთ ამოეღოთ ან დაემატებინათ რამე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა კითხვაზე გასცა ამომწურავი პასუხი, ხოლო რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობას, ამას დაწესებულება ვერ შეეწინააღმდეგება. ამბობს, რომ ავტორიზაციის სტანდარტების ნაწილში სააკრედიტაციო რეკომენდაციებზე საბჭომაც ძალიან სწორი ფორმულირება გააკეთა. დაწესებულება არ ამბობს, რომ ყველაფერში იდეალები არიან, მაგრამ ამბობენ, რომ ამავე ფაკულტეტზე, ამავე შენობაში, ამავე რესურსით არაერთი პროგრამა ხორციელდება, არაერთი ექსპერტთა ჯგუფი მიუღიათ და არაერთი რეკომენდაცია და მოწონება დაუმსახურებიათ და იქ, სადაც ექსპერტთა 20 ჯგუფი ამბობს, რომ კარგია და ამ ნაწილში დაწესებულებაც ეთანხმება, მათ აქვთ ფორმალური და მატერიალური შესაბამისობა პროცესთან, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ ჰქონდათ კონკრეტული რეკომენდაციები შესასრულებელი და შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შეასრულეს ისინი და აგრძელებენ განვითარებას, დასასრულს კი მადლობას უხდის ბატონ ბესარიონს სურვილისთვის და არა ქმედებისთვის, რომ მათი განვითარება უნდა. აქვე დებს პირობას, რომ ეცდებიან განვითარდნენ, მათ არ აქვთ პრობლემა არც კომუნიკაციის, არც რჩევების, არც რეკომენდაციის მიღების და იმედი აქვთ, რომ საბჭო დააფასებს მათ ამ შრომას და ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს მათ შორის რთულ პერიოდშიც კი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:07

დასრულების დრო: 20:31

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 2

წინააღმდეგი - 6

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე წელიწადსა და ექვს თვეში მონიტორინგის განხორციელების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 6


წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება


აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის 2¹¹ პუნქტის, 31 მუხლის საფუძველზე, საბჭომ პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიიჩნია აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით, მონიტორინგის დანიშვნა ანგარიშის განხილვიდან ერთ წელსა და ექვსი თვის ვადაში, 2022 წლის 14 თებერვლამდე.

საბჭომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან იშუამდგომლა, რომ აღნიშნული მონიტორინგის განხორციელებისას ექსპერტად/ექსპერტებად განისაზღვრონ სხვა პირი/პირები.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ტუფინაშვილი თამარ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა

